# სახალხო გაზეთი

№ 228 ხუთშაბათი, 10 თებერვალი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 228

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## ამ ნომერში ექვსი გვერდია.


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 3. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

7 ამა თებერვალს, სოფელს თერჯოლაში, (შორაპნის მაზრა), გარდაიცვალა აზნაური

### კალენიკე იოსების ძე მესხი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობებს გულდამწვარნი ჭირისუფალნი მისნი. ჩვეულებრივი ტირილის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1— —1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენ. № 57 (12)

ხუთშაბათს, 10 თებერვალს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

### ყაჩაღები

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად შილლერისა, თარგ. ნ. ავალიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: პიერრეტა, ბ-ნნი: ალექს-მესხიშვილი, არადელი, გუნია, ბერიშვილი, გამყრელიძე, გვარამე, ივანიძე, ყიფიძე, ზარდალიშვილი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია, ციციშვილი, საფაროვი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგ.-ბისა. რეჟისორი ვლ. ალ.-მესხიშვილი.

2—2

ავჭალის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 12 თებერვალს, 1911 წელს.

მარიამ ივანეს ასულ დემურიას გარდაცვალების წლის თავზე, მის ხსოვნის პატივსაცემლად, ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით სახალხო თეატრის სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება:

### „მეზობლები“

დრამა 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, თ. გოგოლაშვილი, ელ. მესხიშვილი, ნ. კამიძე და ს. რომანიშვილი. ბ-ნნი: გ. ანანიაშვილი, ა. ალექსიძე, მ. ინაშვილი, წარი, ს. ბებანოვი, ს. ლობჟანიძე, გ. ჯაბაური, ჩაკურია და სხ.

ადმინისტრატორი თ. დოლიძე. რეჟისორი გ. ვ. გედევანოვი

მორიგი წევრნი სოფ. მგალობლიშვილი, ვ. რაქვიაშვილი.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ ს.

წარმოდგენის წინად თ. გოგოლაშვილი წაიკითხავს მ. დემურიას ბიოგრაფიას და აღნიშნავს მის ღვაწლს სახალხო წარმოდგენების შესახებ. (2—უ.—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ალექსანდრეს საქალაქო საავადმყოფოში (კანისა და ვენერიულ სნეულებათა) ათაშანგს პროფესორ ერლიხის 606 (სალვარზანით) სწამლობენ. ამ აპარატით წამლობის დროს, საავადმყოფოში მიღებულ გარდასახადის (6 მ.) გარდა ორი კვირის განმავლობაში, ავადმყოფნი პრეპარატის ფასსაც იხდიან—3 მანეთს. ხოლო ვასსერმანის სისხლის რეაქციის მოსახდენად—1 მ. 50 კ.

ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ საავადმყოფოს გამგე—ექიმს ს. ს. ისტამანოვს, დილის 7—12 საათამდე. (2—1045—2)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქვაშვეთის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. ამბულატორიულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**დამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**ბურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

**კარშინა ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

**სოხოცევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულხანოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით**

(Erlich-chata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედივათ. საფასურით. (200—6.—390)

### გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა ჭიათურასა, გორსა, ბაქო'ა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სენაკსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა.

მიმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

### დღეიდან გამოდის ახალი ორ კაპიკიანი გაზეთი „ხალხი“

ადრესი: დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

### ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება

საზოგადოების დამფუძნებელნი იუწყებიან, რომ საზოგადოების წესდება დამტკიცდა 1910 წლის 22 დეკემბერს.

წევრად ჩაწერა შეიძლება:

1. სახალხო გაზეთის რედაქციაში,
2. ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზ. მაღაზიაში,
3. ტფილისის სასოფლო სამეურნეო ბანკში,
4. დეპუტატთა საკრებულოსთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიაში,
5. სათავად-აზნაურო ბანკის დამფასებელ კომისიაში,
6. კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში,
7. „კახეთის“ საზოგადოებაში (ერევნის მოედანზე),
8. „საეროს“ ამხანაგობაში.

წევრად ჩაწერისათანავე საჭიროა თითო მანეთი საწევრო ფულის წარმოდგენა. სასურველია მასთან ერთად შემოტანილ იქმნას აგრეთვე 1911 წლის საწევრო გადასახადი—3 მანეთი. მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ საზოგადოების წესდება უფასოდ. (6—1046—2)

№ 1. **ქართული თეატრი** № 1

სამშაბათს, 15 თებერვალს, 1911 წ.

ახლად დაარსებული

ტფილისის ქართული საამხანაგო ხორო

მიხეილ კავსაძის ლოტბარობით და ძმ. ანდრია და ნიკოლოზ კავსაძეების, ის. სალირაშვილის მონაწილეობით გაემართავს

### ქართულ-ორიგინალურ კონცერტ-საღამოს,

სამის განყოფილებით.

1. ივანე ნასიძე (პეტერბურგის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტი). წაიკითხავს ლექციას—„ქართული მუსიკა“. 2. ხორო ქულაჯებში და ცლეხ-კაცურ ტანისამოსში შეასრულებს განსაკუთრებით ხალხურ სიმღერებს, სურათებით სოფლის ცხოვრებიდან. 3. მიხეილ კავსაძე შეასრულებს ალ. კავსაძის „ურმულს“. 4. იოსებ სალირაშვილი შეასრულებს თარზე ქართულ და სპარსულ ჰანგებს. 5. ძმ. მიხეილ, ანდრო და ნიკოლოზ კავსაძენი შეასრულებენ „ტრიოს“ და სხვ.

ბილეთები იყიდება ქართულ თეატრის კასაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. გამგე ნიკოლოზ კავსაძე. (3—1048—1)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ა. **გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. **მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ტერ-ნიკოლოზოვი ლ. გ.**—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—6.—554)

**ექიმი** ქ. ქუთაისში თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო ავებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ქირალოვის სახლი, (50—15—21

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მიხაილოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N 2.

**ექიმი** ჯაფარიძე

ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—80

**ექიმი** რ. დ. მაჩაბარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაქინოვის ქუჩა N 7. თ.—138—83

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

### საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

### ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—36)

**ექიმი** მ. მამაცაძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—312

ელექტრონისა და რენტგენის

### სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—43)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ვოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრესს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

**ა. მ. ახშიაროვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

**გნუჩკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**დ. გრიგია**—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

**მოისე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ

**ნოვიცკი**—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი**—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

**უკლეინიკოვი**—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

**რიდელი**—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

**თერრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**რუდენკო**—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

**ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.**—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ითხელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

**ლიმონი**—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

**დ. ა. მხიტარიანცი**—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

**ყალამქაროვი**—ნერ., ელექტრო-ტერაპ. ყოველდღე 2—3 საათ.

### წამლობა „606“-ით.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერის წრატით. (100—6.—51)


## ტფილისი, 10 თებერვალი

**უამინდობა ჩვენში და მოსალოდნელი გაჭირვება.** საქართველოს ყველა კუთხიდან აუარებელი ცნობები მოგვდის უამინდობის შესახებ. ყველა ამ წერილების დაბეჭდვა შეუძლებელიცაა და არც მაინცა და მაინც დიდს ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც თითქმის ყველა კორესპონდენტები ერთსა და იმავე სტერეოტიპულ ფრაზას იმეორებენ: დიდი ყინვაა, მოსავალი გაფუჭდა, მოსალოდნელია დიდი გაჭირვება. მართლაც, თუ კარგად გავითვალისწინებთ იმ უბედურებას, რომელიც დასავლეთ საქართველოსა და სხვა კუთხეებში დატრიალდა, დიდი უბედურებაა მოსალოდნელი. ჯერ თოვლი სულ არ იყო, ხმელმა ყინვამ დააზარალა მოსავალი, მერე თოვლი მოვიდა და ეს ხომ სულ ბოლოს მოუღებს ჭირნახულს. დიდს თოვლს უეჭველია გაზაფხულზე წყალდიდობა მოჰყვება.

ჩვენი ხალხი გაჭირვებულად მხოლოდ მაშინ მიგვაჩნია ხოლმე, როდესაც რაიმე კატასტროფა მოხდება. ამისთანა შემთხვევაში მთელი ქვეყანა ალაპარაკდება ხოლმე და ყველას თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია, დაზარალებულთ რითიმე დაეხმაროს.

ჩვენში კატასტროფა არ მომხდარა. მაგრამ განა კატასტროფაზე ნაკლებად დააზარალებს ხალხს დღევანდელი უამინდობა? ეს იქნება ქრონიკული გაჭირვება, რომელიც საშინელს დეზორგანიზაციას შეიტანს ისედაც გაჭირვებულ ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაში. ქრონიკული სიმშილი ავადმყოფობას გამოიწვევს, დასნეულებული ხალხი ინტენსიურად ვედარ იმუშავებს. ძნელია ეხლავე სავსებით დავხატოთ ის სიმწვავე, რომელსაც განიცდის ხალხი წლევანდელ უამინდობისა გამო.

ამიტომ საჭიროა დახმარება, ჭირს თავშივე უნდა შველა. ეხლავე უნდა შესდგეს სპეციალური კომიტეტები რომელნიც გამოიკვლევენ, რომელი კუთხე უფრო დაზარალებულია, და გამოსძებნიან დახმარების წყაროსაც. ამისთანა შემთხვევებში რუსეთის სოფლებს საერობო დაწესებულებანი ეხმარებიან. ჩვენში საერობო თვითმმართველობა არ არსებობს, მაგრამ არსებობს საერობო თანხა, რომელსაც ადმინისტრაცია განაგებს. საჭიროა სათანადო შუამდგომლობის აღძვრა, რომ საერობო თანხიდან დაზარალებულ პროვინციას დახმარება მიეცეს. ყველაზე ადვილად ეს თავადაზნაურთა წარმომადგენლებს შეუძლიანთ.

გაჭირვება დიდია. გულ-გრილობა ამისთანა საქმეში პირდაპირ დანაშაულობად შეიძლება ჩაითვალოს..

**ქალაქის თვითმმართველობის გარშემო.** საზოგადო ცხოვრების უფერულ თანამედროვე მატიანეში იშვიათად გვიხდება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტის აღნიშვნა, როგორიც სომხებისაგან ტფილისში ქალაქის გამგეობის წევრად ქართველის არჩევაა. ამ არჩევას ჩვენ უფრო მეტს სიმპტომატიურს მნიშვნელობას ვაძლევთ, ვიდრე თუნდ იმას, რომ ამ რამდენისამე ხნის წინად ქალაქის თავად ქართველი იყო, აგრეთვე სომხებისგან არჩეული ამ თანამდებობაზე. ეს ერთის მხრივ განსვენებულ ქალაქის თავის პირად ღირსებათა შედეგი იყო, მეორეს მხრივ სხვა და სხვა გარემოებათა კომბინაციისა. ეხლა კი სომხებს ჯერ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ქართველი აერჩიათ, და შემდეგ იმას ლაეძებდნენ, თუ ვინ ამოერჩიათ ქართველთაგან სახელდობრ ამ საპატიო ადგილზე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს ეროვნულ ურთიერთობის ნორმალურ განვითარებისთვის, თუ იგი წარმოადგენს არა რაიმე გარეშე აუცილებლობის ნაყოფს, არამედ სრულიად შეგნებულს, მოქმედების პროგრამისაგან გამომდინარე საქციელს. ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ გამგეობის წევრად ქართველის არჩევა იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ შეგნებული ნაბიჯი და ამ ფაქტს ხალვათის გულით ვეგებებით, როგორც სიკეთის დასაბამს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პირველ ნაბიჯს აუცილებლივ უნდა მოჰყვეს იმ დასაბამის განვითარება და გაშლა, რომლის დასაწყისადაც გამგეობის წევრის ეხლანდელ არჩევას ვგულისხმობთ. ეს განვითარება კი უნდა გამოიხატოს იმაში, რომ სომხებმა დამდეგ გაზაფხულის არჩევნებზე ტფილისის ქალაქის საბჭოში ქართველებს უნდა მისცენ ოცი ხმოსნის ადგილი და გამგეობაში ერთის წევრისა. მაშინ შესაძლებელი იქნება თამამად ვთქვათ, რომ ორი ძირითადი ეროვნება ტფილისში ჯეროვნად არიან წარდგენილნი საქალაქო თვით მმართველობაში და რომ სომხებმა თავის მხრივ მოიმოქმედეს ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ ეროვნულ სოლიდარობის გასამტკიცებლად. სომხების მხრივ ეს გონიერების და ტაქტის დამამტკიცებელი იქნება. საზიანო ამ გვარი მოქმედება სომხების მხოლოდ იმ 3-ტარა ჯგუფისთვის იქნება, რომელიც ყოველთვის თავის კანდიდატებს ასახელებს თვითმმართველობის ფასიან ადგილებზე, სამაგიეროდ

დიდად სასარგებლო იქმნება ქალაქის საქმეებისთვის და ტფილისის მრავალ ტომიან მცხოვრებთათვის. როგორც ვიცით, ჩვენის ცხოვრების არც ერთი სფერა არ არის დატვირთული ნიჭთა სიუხვით, ბევრი ნიჭიერი მოღვაწე არა ჰყავს ქალაქის თვითმმართველობასაც, სადაც ეხლა მარტო ოდენ ერთი ეროვნება წარდგენილი. გაუხსენით გზა თვითმმართველობაში ყველა ეროვნულ ჯგუფებს და მაშინ ალბად მეტს ნიჭიერ და ერთგულ მოღვაწეებს ვნახავთ ქალაქის საქმეთა გამგებლებში.

ეჭვს გარეშეა, ტფილისის თვითმმართველობაში ყველა ერის წარმომადგენელთათვის გზის გახსნას დიდი მორალური მნიშვნელობა ექმნება მთელ კავკასიისთვის. ჩვენ ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ ქვეყნის წარმატება და განვითარება აუცილებლივ ერთა სოლიდარობაზე უნდა დაემყაროს. დარწმუნებულნი ვართ, მაგრამ ძლიერ ნაკლებ ვზრუნავთ ამ რწმენის განსახორციელებლად.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მოსკოვში დაარსდა საგანგებო საზოგადოება რუსეთში მოსახლე ერთა სოლიდარობისა. გაჩნდა აზრი და დაიწყეს ლაპარაკი ამ საზოგადოების განყოფილების დაარსებაზე კავკასიაში. ეჭვს გარეშეა, რომ დიდი აზრი ამ საზოგადოებისა ფრიად საპატიო და მნიშვნელოვანი, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტს ფასსა ვდებთ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც რეალურ ცხოვრებაში ჰქმნის ერთა კავშირის და სოლიდარობის ნიადაგს ურთიერთობის გასამტკიცებლად. როგორც ვიცით, ტფილისის საქალაქო თვითმმართველობაში წარმომადგენლობის ნიადაგზე წარსულში ქართველების და სომხების ურთიერთობა ზოგჯერ არა სასურველ გამწვავების ელფერს იღებდა. ეხლა ყველას კარგად ესმის, რა დიდი უბედურება იყო ეს როგორც ქართველებისთვის, აგრეთვე სომხებისთვის. ამბობენ, შიგა და შიგ ეს ეროვნული უნდობლობა ქართველებსა და სომხებ შუა აწ განსვენებულ ველიჩკოს საქმე იყოვო. დიდი შეცდომაა! ველიჩკო არც ისეთი გონების და ნიჭის პატრონი იყო, რომ მას საზოგადო ცხოვრებაში შეექმნა ის, რაც უმისოდ არ არსებობდა. ველიჩკომ მხოლოდ ხელზე დაიხვია და გამოიყენა, მხოლოდ გაამწვავა და გააბასრა უკვე არსებული უნდობლობა, შექმნით კი იმას არაფერი არ შეუქმნია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნიადაგი ეროვნულ უნდობლობისა და ეროვნულ ურთიერთობის გამწვავებისა საქალაქო თვითმმართველობა იყო. ადვილი გასაგებია, რომ ამავ თვითმმართველობაში უნდა იქმნას შეტანილი ისეთი პრინციპი ურთიერთობისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ერთა სოლიდარობას. სომხებმა კეთილ საქმის დასაწყისი დაგვანახვეს, იმათზევეა დამოკიდებული ამ საქმის კეთილი გაგრძელება და დაგვირგვინება. უეჭველია, ტფილისის სომხების ტაქტიკა მორალურ გავლენას იქონიებს სხვა ქალაქის მცხოვრებლებზე და, სადაც უმრავლესობას ქართველები ან თათრები შეადგენენ, იქ მათ ზნეობრივ მოვალეობად ჩაითვლება სომეხთა უმცირესობას გაუხსნან გზა თვითმმართველობაში. რა თქმა უნდა, ეროვნული ურთიერთობის სფერა გაცილებით უფრო ღრმა არის და ვრცელი, ვიდრე საქალაქო თვითმმართველობა, მაგრამ დიდი მადლობა ეკუთვნის ყველას, ვინც ერთა სოლიდარობის გასამტკიცებლად მოქმედობს იქ, სადაც ხელი მიუწვდება და რამდენადაც ძალღონე შესწევს. მტკიცედ უნდა გამოვინასკვოთ თავსა და გულში, რომ თუ წარსულში ერთი ველიჩკო იყო, აწმყოსა და მომავალში ათობით და ასობით შეიძლება გაჩნდნენ იმის გზაზე მოსიარულენი.

Jonnesco.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სტუდენტობის მღელვარებამ მთელი რუსეთის გაზეთები აალაპარაკა. სხვათა შორის ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ ამის თაობაზე სწერს:

„მთელს ქვეყნიერობაზე რომელ უნივერსიტეტთა სტუდენტები უფრო კონსერვატორები არიან? ინგლისისა, რომელთაც ფართე ავტონომია აქვთ მინიჭებული. პარიზის უნივერსიტეტში მაგალითად (სორბონაში) ხშირად შეჰყავთ ხოლმე პოლიცია, კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში საუკუნეთა განმავლობაში ასეთი მაგალითი არ ახსოვთ, თუმცა სტუდენტობის მღელვარება იქაც ხშირად ყოფილა.

ნუ თუ ჩვენც ვერ უნდა მოვესწროთ უმაღლეს სასწავლებელთა სრულს ავტონომიას, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა ექმნებოდა ჩვენთვის, როგორც ინგლისის საუნივერსიტეტო ხარტიას? ნუ თუ ასეთს დიდებულ საქმეს ფუქსავატი თავმოყვარეობა უნდა გადაეღობოს, რომელსაც ვითომ მთავრობის გავლენის დამცირებისა ეფიქრება?

ერთს წუთსაც ვერ წარმოგიდგენია და ვერ გვირწმუნებია ეს საშინელი მოსალოდნელობა.

პოლიტიკაში მიღებულია ის აზრი, ვითომც მკაცრ განკარგულების დარბილება მთავრობის უღონობასა და უილაჯობას ადასტურებს და მღელვარებას უფრო ხელს შეუწყობსო. ჩვენ, პედაგოგები, ახალგაზრდობის ფსიხოლოგიას ანგარიშს ვუწევთ და სულ წინაალმდეგს ვამტკიცებთ: არა — სასტიკი, არამედ რბილი, და პატიოსანის გზითა და სიმტკიცით მიღებული ზომები ყოველთვის დამშვიდებას შეიტანს ახალგაზრდობაში.

ვინაიდან დიდი საფრთხე და გასაცდელი გველის, ყოველ მოქალაქის მოვალეობაა, ვისთვისაც კი რუსეთის ბედი ძვირფასია, მთავრობა დაარწმუნოს, რომ ერთად-ერთი სამართლიანი და გაბედული ნაბიჯი გადასდგას!“ ეს ნაბიჯი უნივერსიტეტთა ავტონომიაა.

(„უტ. რ.“)

# სტუდენტების მოძრაობა

დ ე პ ე შ ა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ოდესა.** უნივერსიტეტში ყველა ლექციებს აუარებელი სტუდენტობა დაესწრო.

**მოსკოვი.** საინჟინერო სკოლაში ნება დართველი კრება მოხდა. გაფიცვის გამოცხადება გადასწყვიტეს. პოლიციამ კრების მონაწილენი გადასწერა.

**ეკატერინოსლავი.** პროფესორთა საბჭომ გამოჰკიდა განცხადება, რომლითაც იგი ჰგმობს გაფიცვას. სწავლა წესიერად მიდის.

**ტომსკი.** უნივერსიტეტში ქიმიური ობსტრუქცია მოახდინეს. ლექცია მხოლოდ ორმა პროფესორმა წაიკითხა. სატექნოლოგიო ინსტიტუტში ცოტა მსმენელები არიან.

**ოდესა.** ქალთა უმაღლეს კურსების 16 მსმენელი, რომელნიც ობსტრუქციის მოხდენის დროს დაატუსაღეს, გაჩხრეკის შემდეგ განთავისუფლეს.

---

სტუდენტების მოძრაობის შესახებ „რუსკ. ვედ.“-ი შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს: მოსკ. უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა გაეგზავნოს სახ. განათლების მინისტრს დეპუტაცია, რომელიც აუხსნის მინისტრს საუნივერსიტეტო ცხოვრების ნამდვილ ვითარებას და განუმარტავს იმ მიზეზებს, რომელთაც აიძულეს რექტორი, მისი თანაშემწე და პრორექტორი სამსახურიდან გადამდგარიყვნენ. დეპუტაციისთვის საბჭომ ამოირჩია სამი პროფესორი: გრ. კომაროვსკი, ანუჩინი და გულევიჩი. დეპუტაცია წარუდგება მინისტრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით მინისტრი განაცხადებს სურვილს მათ მიღებაზედ.

---

როგორც 3 თებერვლის ცნობებიდან სჩანს, სამსახურიდან გადადგომა უთხოვნიათ მოსკოვის უნივერსიტეტის შემდეგ პროფესორებს: ვერნადსკის, უმოვს, ხვოსტოვს, ჩაპლიგინს, შერშენევიჩს, პეტრუშევსკის, ციხენვალდს, და ალექსინსკის; სამსახურს თავს ანებებენ აგრეთვე პრივატ-დოცენტები: კოვოშკინი, კიზევეტერი, სირომატნიკოვი, სავულინი, პოლიანსკი, ვულფი, დავიდოვი, ვორმსი, კოლცოვი, ვისტიაკოვსკი, შაპოშნიკოვი, ბარავოი, როსოლიმო, ცენგარი, კაბანოვი, გერნეტი, სინიცინი, უსტინოვი, კუზიცკი და ვინოგრადოვი.

---

4 თებერვალს მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი მანუილოვი გამოეთხოვა უნივერსიტეტის კანცელარიის შტატს და თავის გრძობიერ სიტყვაში მადლობა გადაუხადა მოსამსახურეთ.

---

პროფესორი ვინოგრადოვი, რომელიც ამ მოკლე ხანში დაბრუნდა ინგლისიდან მოსკოვის უნივერსიტეტში, ლექციების წასაკითხად ისევ აპირებს დაბრუნდეს ოქსფორდში.

---

პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექციებს არ კითხულობენ, თუმცა 5 თებერვალს აუარებელ სტუდენტობამ მოიყარა თავი. 12 საათზედ პროფ. პოკროვსკი შეეცადა ლექციის წაკითხვას, მაგრამ სტუდენტები მას სტვენით და ყვირილით შეხვდნენ. პროფესორმა მიმართა მათ სიტყვით და უმტკიცებდა, გაფიცვა მოეხსნათ. პროფესორი ძალიან აღელდა და ამიტომ ლექცია აღარ წაუკითხავს.

---

სავაჭრო მინისტრმა უარჰყო კიევის პოლიტეხნიკუმის პროფესორთა შუამდგომლობა, რომლითაც ისინი ითხოვდნენ პოლიტეხნიკუმის დროებით დაკეტვას.

უნივერსიტეტში და ქალების კურსებზედ პროფესორები ლექციებს კითხულობენ, თუმცა მსმენელთა რიცხვი მცირეა.

---

კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორები ნეჩაევი, შინდლერი და ტიმოშენკო სამსახურიდან დაითხოვეს.

---

როგორც „რუსსკოე სლოვო“ გადმოგვცემს, მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის სახელზედ მიღებულია დეპეშა სამთო ინსტიტუტის პროფესორთაგან, რომელნიც თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორთა საბჭოს და ურჩევენ მათ უფრო მტკიცედ დაიცვან უნივერსიტეტის ავტონომია.

---

რადგან მანუილოვის დათხოვნით მოსკ. უნივერსიტეტი ურექტოროდ დარჩა, ოლქის მზრუნველმა სთხოვა პროფ. ზორნოვს ეკისრა დროებით ეს თანამდებობა. ზორნოვმა უარი განაცხადა და ამ თანამდებობის ასრულება პროფ. კამაროვსკის გადასცა. ეხლა კამაროვსკის ჰსურს თურმე მოსკოვიდან წასვლა, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან მას ჩაბარებული აქვს სამი თანამდებობა: რექტორისა, მის თანაშემწისა და პრორექტორისა. პროფ. კამაროვსკიმ არ იცის, ვის გადასცეს ეს თანამდებობანი.

# რუსეთ-ჩინეთის უთანხმოება

დ ე პ ე შ ა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პეკინი.** ვაიკუბუს პასუხი მშვიდობიან შერიგების კილოთია დაწერილი. ცხადადა სჩანს, რომ ჩინეთსა სურს რუსეთის ყველა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

**ტოკიო.** იაპონიის პრესა გულ-გრილად მიეკიდა რუსეთის ულტიმატუმს, მხოლოდ ურჩევს რუსეთს, მშვიდობიანობას ნუ დაარღვევს აზიაში.

---

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, რუსეთის მთავრობამ ჩინეთის მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი და 1881 წლის ხელ-შეკრულობის ასრულება მოსთხოვა. სათანადო ნოტა გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს უკვე ჩაუბარებია სახელმწიფოთა ელჩებისათვის. ელჩებს აღუნიშნავთ, რომ რუსეთი სამართლიანად მოითხოვს ჩინეთისაგან ხელ-შეკრულობის შესრულებასაო. პეტერბურგში რუსეთის დიპლომატები დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის მთავრობა შეიგნებს თავის შეცდომას და შემდეგში მაინც შეასრულებს ყველაფერს, რასაც ხელ-შეკრულობა ავალებს. 4 თებერვალს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ჩინეთის ელჩთან ულაპარაკია. მოლაპარაკება ძალიან მეგობრულ კილოთი სწარმოებდა, ასე რომ რაიმე უთანხმოებაზე ლაპარაკი სრულიად მეტად უნდა ჩაითვალოსო, ასე ჰფიქრობენ პეტერბურგში. ეხლა ყველაფერი ჩინეთის მთავრობაზეა დამოკიდებული. რუსეთის დიპლომატიას მხოლოდ ხელ-შეკრულობის შესრულება სურს; თუ ჩინეთი გაჯიუტდა და ნამდვილად არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილებანი, მაშინ რუსეთი იძულებული გახდება ისეთს ზომებს მიჰმართოს, რანაირიც არც რუსეთისას სასურველი და არც ჩინეთისთვის უნდა იყოს ხელსაყრელი. როგორც „რუსკ. სლ.“ გადმოგვცემს, რუსეთის დიპლომატიას ჯერ გარკვეული აზრი არა აქვს შემუშავებული იმის შესახებ, როგორ უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთმა 1881 წლის ხელ-შეკრულობის დარღვევა მოისურვა. არსებობს ძლიერი პარტია, რომელიც მოითხოვს, რომ ამ შემთხვევაში რუსეთმა კულჯა უნდა დაიჭიროს. კულჯა პატარა ქალაქია და ჩინეთის მოსაზღვრე პროვინციაში მდებარეობს. ყოველ შემთხვევაში რუსეთი ამ ქალაქს ისე არ დაიჭერს, თუ თავდაპირველად ინგლისსა და იაპონიას არ მოელაპარაკა.

---

„რუსკ. სლ.“ დეპეშით ატყობინებენ ვენიდან, ნოტის გაგზავნის შემდეგ რუსეთის ფასიანი ქაღალდები ბირჟაზე ნახევარ პროცენტით დაეცაო.

რუსეთს შეუტყობინებია საფრანგეთისთვის, ჩვენს დიპლომატიურს დემონსტრაციას ჩინეთის მთლიანობისთვის არავითარს საფრთხეს არ წარმოადგენსო. საფრანგეთში საზოგადოდ რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობაზე ძალიან ცოტასა სწერენ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

9 თებერვალი

**ბეისენფელსი** (საქსონია). ფეხსაცმლის ქარხნის 2,700 მუშა გაიფიცა.

**სტამბოლი.** სამინისტროს კრიზისი გრძელდება. პალატამ უარჰყო სენატორის (?) მიერ კონსტიტუციაში შეტანილი მუხლი, რომელიც უფლებას აძლევს სენატს მსჯელობა იქონიოს იმ კანონ-პროექტების თაობაზე, რომელნიც ქვედა პალატას არ განუხილავს.

**ტოკიო.** იაპონიის პრესა მშვიდად უცქერის რუსეთის გამოსვლას ჩინეთის წინააღმდეგ, მაგრამ ურჩევს, აზიაში მშვიდობიანობა არ დაარღვიოს.

**პარიზი.** ოფიციალურად უარყოფილია ხმები საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმოებაზე.

**ნიუ-იორკი.** გაიტის ოლქში საალყო წესები გამოაცხადეს. პორტოპრენსაში სერიოზული არეულობაა. პრეზიდენტი სიმონი ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს მეამბოხეთ. რამდენიმე პირი, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ აგიტაციაში, სამხედრო სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. დეპუტატი ჯინელი, რომელიც ირლანდიულ ერთ-ერთ გაზეთში ბრალსა სდებდა პალატის სპიკერს პარტიის წევრობაში, ასკვიტის წინადადებით პალატამ ერთის კვირით საპარლამენტო უფლებანი ჩამოართვა. ეს გადაწყვეტილება 311 ხმის უმეტესობით, 84 წინააღმდეგ მიიღეს.

**თავრიზი.** ჩამოვიდნენ ოსმალეთის ელჩი ხოა სადულა-ბეი და პოლკოვნიკი გენერალურ შტაბის მექვსე კორპუსისა რაფიკ-ბეი, რომელსაც თან ახლდა 25 ოსმალოელი მხედარი და 12 სპარსელი ყაზახი.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დელეგაციის საზღვაო კომისიამ საზღვაო ხარჯთ-აღრიცხვა მიიღო. პალატის უკანასკნელი სხდომა ობსტრუქციით დასრულდა. ოპოზიციის წარმომადგენელნი ძალას ატანდნენ, რომ საკითხი კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო.

**ტრიესტი.** საშინელ ქარბუქს სეტყვა მოჰყვა. სეტყვამ დედა-მიწა 1 დიუმამდის დაჰფარა. ბევრს სახლის სახურავები მოჰგლიჯა. იტყობინებიან, ქარბუქი გერმანიის ზღვის ნაპირებზედაც არისო.

**ბელგრადი.** მოვიდა მეფე მეუღლითურთ. სადგურზე დახვდა მემკვიდრე, მინისტრები და მრავალი ხალხი, რომელნიც აღფრთოვანებულნი ეგებებოდნენ.

**ბერლინი.** თოვლმა და ქარ-ბუქმა ტელეგრაფის მავთულები დასწყვიტა დასავლეთ ევროპისა და იტალიის დეპეშები იგვიანებს.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. ბრიანმა აღნიშნა, რომ უმაღლეს სასანიტარო საბჭოს აზრით საშიში არ არის რომ ფილტვების ჟამი შემოიტანონო. საზოგადოდ კი ჟამის წინააღმდეგ ყოველგვარი ზომებია მიღებული. ჰფიქრობენ პარიზში საერთაშორისო სასანიტარო კონფერენცია მოიწვიონ. პარიზში მცხოვრებ ემიგრანტებს ექიმის მოწმობები ეძლევათ.

**რადომი.** ვისლა ნაპირებიდან გადმოვიდა. წყალმა სანდომირის ქვეშ უშველებელი ხვრელი გამოთხარა. ვარშავიდან საპიორები საჩქაროდ დაიბარეს.

**ჰელსინგფორსი.** სოციალ დემოკრატების წინადადება იმის თაობაზე, რომ ადრესის პროექტი ხელახლად იქმნას განხილული და ამავე საკითხის შესახებ წარადგინონ პეტიციებთან ერთად გადაეცეს სეიმის კომისიას, უარყოფილია. ადრესის პროექტი „ძირითად კანონების“ კომისიას გადაეცა.

**ლონდონი** ქვედა პალატა. გრეიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკება ბაღდადის გზის გამო, ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჰქონდათ. ჩინეთის საზღვრის თაობაზე მაკკინონ-ვუდმა სთქვა: ეს საქმე მხოლოდ რუსეთსა და ჩინეთს ეხებაო. არ შემიძლიან ჩემით მიუმატო კიდევ ცოტა რამ იმას, რაც უკვე გამოქვეყნებულიაო. ეხლა მოლაპარაკებაა გამართული ოსმალეთსა და გერმანიის შორისო. რუსეთის ჯარის გადაყვანაზე განაცხადა: მე არ შემიძლიან ვსთქვა, რომ ეს მოლაპარაკება კეთილად არ დასრულდებაო.

**ქრისტიანია.** გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა. ნორვეგიამ პროტესტი გამოსთქვა რუსეთის იმ კანონ-პროექტის გამო, რომელიც ჩრდილოეთ ოკეანის ტერიტორიალურ საზღვრებს ეხება.

**ლონდონი.** ქვედა პალატა. ასკვიტი, რომელსაც ნაციონალისტები და მემარჯვენენი აღფრთოვანებით მიეგებნენ, შეეხო „ვეტო“-ს იმ უფლებას, რომელსაც წარსული სესსია იხილავდა.

**სერაევო.** სეიმი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა. სერბიელთ განაცხადეს, ხარჯთ აღრიცხვის წინააღმდეგნი ვიქნებით, ხოლო მუსულმანთა უმრავლესობა კი ხარჯთ-აღრიცხვას მიემხრობა.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. საზღვაო მინისტრი აიტკიცებს, საჭიროა შესრულებულ იქმნას გეგმა გეგმთა საამშენებლო კომისიისა. საჭიროა ორი ნაღმოსანი. რადიკალ-სოციალისტი ნაიმი და საბიუჯეტო კომიის პრეზიდენტი [illegible] გულის წყრომას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ საამშენებლო საქმე კერძო ქარხნებს გარდაეცაო. — მინისტრი განუმარტავს, თუ გემების აშენება მთავრობის ქარხნებს გადაეცემოდა, მაშინ საქმე თითქმის 8 ოვით დაგვიანდებოდაო.

რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** ღამე დაიწვა რკინეულობის ქარხანა ბერნშტეინისა. ზარალი 100 ათასი მანეთია.

**ლოძი.** ოზრუკოვში კონსტანტინოვში და ზგრეჟში თოვლი დადნა და მდინარე ნაპირებიდან გადმოვიდა.

**სარატოვი.** ფლიგელ-ადიუტანტი მანდრიკი პეტერბურგს გაემგზავრა.

**ოდესა.** რუსეთის საზოგადოების გემ „შეჩტა“-ზე მუშაობის დროს ბენზინის ლამფა აფეთქდა. ცეცხლმა რამდენიმე მუშა დაამწვა.

**ვარშავა.** სკოფიოვის და ქიტნის ქუჩების კუთხეში უცნობებმა ორი პოლიციელი მოჰკლეს.

**პეტერბურგი.** მეფქვილეთა ორგანიზაცია შესდგა, რომელშიაც შესვლა მხოლოდ მეწისქვილეთ და ექსპორტიორებს შეუძლიანთ.

ტულის ეპისკოპოზის მიერ მიღებულ ცნობებით ბერ-მონაზონმა ილიოდორმა უარი განაცხადა იმ თანამდებობაზე, რომელზედაც იგი სინოდმა განამწესა. 8 თებერვლის გადაწყვეტილებით, სინოდმა მიწერილობა გაუგზავნა გერმოგენს, ეზრუნა იმის შესახებ, რომ ბერ-მონაზონი ილიოდორი გაესახლებინა ტულის ეპარქიაში. ილიოდორის ჯიუტობას შესაძლებელია არა სასიამოვნო შედეგები მოჰყვეს.

**პეტერბურგი.** გზების გამყვანმა კომისიამ სასურველად სცნო გაყვანილ იქმნას ელექტრონის გზა ყირიმში უშაკოვის პროექტის მიხედვით. რკინის გზა ამ გეგმით გაივლის: სევასტოპოლი—ლასპი—ალუპკა—იალტა—ალუშტა.

საფრანგეთის და იტალიის პურის კონტრაქტების თაობაზე საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა.

**პეტერბურგი.** საბიუჯეტო კომისიამ დაამთავრა განხილვა 1911 წლის სახელმწიფოს შემოსავლის განხილვა. საერთო ჯამი 1911 წლის შემოსავლისა 2,712,028,827 მანეთი უნდა იყოს.

საფინანსო კომისიამ სასურველად სცნო გადაიდოს ხაზინიდან რვა მილიონი მანეთი მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მართლმადიდებელთა კომისიამ მიიღო კანონ-პროექტი სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის საპენსიო კასის დაარსებისა.

**ცარიცინი.** ბერ-მონაზონი ილიოდორი ცარიცინში მიმავალ გზიდან ისევ სერდობსკში დაბრუნდა.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი კავკასიის მუზეუმისათვის ახალ შენობის აგების შესახებ.

**პეტერბურგი.** სენატმა ტფილისის პალატის დადგენილება, რომლითაც „ნოვაია რეჩ“-ის რედაქტორს 3 თვით ციხე ჰქონდა გადაწყვეტილი უარ ჰყო. რედაქტორი პალატამ გაამართლა.

# შავი ჭირი

დ ე პ ე შ ა.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**ირკუტსკი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კრებამ დაადგინა: 1) ჩინელ მუშების შეშვება რუსეთში შეიძლება მხოლოდ საობსერვაციო ადგილებიდან, 2) იმ ადგილებიდან, რომლებშიაც შავი ჭირი მძვინვარებს, ევროპიელები უნდა გაიგზავნონ რკინის გზაზე ოთხი კლასით ეობსერვაციოთ, ჩინელები კი აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ შეიძლება წავიდნენ მხოლოდ ხუთი დღის ობსერვაციის შემდეგ, 3) ჯარის გადაყვან-გადმოყვანა შეძლების და გვარად უნდა შემცირდეს, 4) ტუსაღების გადაყვანა სხვა ადგილებში შეიძლება, თუ ციხეებში კარგა ხნის განმავლობაში შავი ჭირი არ ყოფილა.

**ხარბინი.** ობსერვაციაშია 574 კაცი, ამათგან 14 ევროპიელია; განცალკევებულია 20, ამათგან 2 ევროპიელი, შავი ჭირის საავათმყოფოშია 5. განცალკევებულთაგან მოკვდა ერთი ევროპიელი, შავი ჭირის საავათმყოფოშია — ათი ჩინელი. დღე-ღამის განმავლობაში მოკვდა 11, ამათგან ერთი ევროპიელი. ავათ გახდა რუსი სანიტარი.

---

საშინელი ამბები მოდის შორეულ აღმოსავლეთიდან. შავი ჭირი მძვინვარებს და მუსრს ავლებს მცხოვრებლებს. განსაკუთრებით დაზარალებულია ის ადგილები, სადაც ჩინელები მოსახლეობენ. ვლადივოსტოკიდან ადგილობრივი გენერალ-გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს, ის ადგილები, სადაც ჩინე-

კომწერლები ბლომად გაუჩნდება. ამას რამდენიმე წლის მაგალითი ნათლად გვიჩვენებს.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას აზრადა ჰქონდა სექციებად დაყოფილიყო. ერთხანად, როდესაც ეხლანდელი გამგეობა ახლად შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, მართლაც არსებობდა ასეთი სექციები. თუ დღეს ეს ასე არ არის, აუცილებლად უნდა განახლდეს სექციებად დაყოფა და თვითეულ სექციას განსაზღვრული სამოქმედო ასპარეზი მიეჩინოს.

წიგნების გამომცემელი სექცია მაშინ თავის პირდაპირ, მახლობელ მიზნად წიგნების გამოცემას დაისახავს, და საქმეც გაცხოველდება...

**ზინაური**

## საყურადღებო ხელთნაწერი

(„კალმასობის" გაგრძელება).

ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც პირველად წავიკითხეთ „კალმასობა", ასეთი შთაბეჭდილება გამოვიტანეთ: მშვენიერი წიგნი, ენითა და შინაარსით მდიდარი, მხოლოდ, სამწუხაროდ, **არა დასრულებული.** შეუსაბამოდ მიგვაჩნდა, რომ **ავტორს,** რომელიც თხზულების დასაწყისშივე ნამდვილ ლიტერატურულ ალღოს იჩენს, ისე უფერულად და მოულოდნელად დაეთავებინოს მოთხრობა, როგორც ეს აქამდე უკვე ცნობილ „კალმასობის" ნაწილშია. და მართლადაც იოანე ხელაშვილი და ზურაბ ღამბარაშვილი, „კალმასობის" უმთავრესნი მომქმედნი პირნი, მთელ ქართლ-კახეთს გადალახავენ და იქაურ ზნე-ჩვეულებებს (უმთავრესად) ვრცლად გვაცნობენ. შემდეგ ისინი წავლენ სომხეთისაკენ, მაგრამ ამ უკანასკნელ მხარეში ორ-სამს სოფელს თუ მოივლიან და უცბად, სრულიად მოულოდნელად, მოთხრობის ძაფი სწყდება... და, თითქოს მიწამ ჩაყლაპა თუ ზეცამ აიტაცა, იოანე-ზურაბის ხსენებაც ჰქრება. ვფიქრობდით, უნდა იყოს სადმე „კალმასობის" გაგრძელება, ან და იყო და დაიკარგა, როგორც მრავალნი სხვა მწერლობითი ნაშთნი სამშობლოს წარსულიდან, თუმცა ამავე დროს, ის აზრიც გვდევდა, რომ შეიძლება ავქსონს რაიმე საფუძვლიან მიზეზებისა გამო (სიკვდილისა ან სხვა...) ვრცლად განზრახული პირვანდელი გეგმა ბოლომდე ვერ მიეყვანოს. სასიამოვნოდ ჩვენდა (და ჩვენი თანამემამულეებისაც) პირველი ჩვენი მოსაზრება გამართლდა. პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო წიგნთსა-ცავში ბატონიშვილ იოანეს ხელთნაწერთა კრებულში აღმოჩნდა ხელთნაწერი N 8, რომელიც წარმოადგენს აქამდე უკვე ცნობილ „კალმასობის" გაგრძელებას, თუმცა, სამწუხაროდ, ცოტაოდენი დეფექტებით.*)

„ახალი" ხელთნაწერი დაწერილია სქელ ნაცრისფერ ქაღალდზე მხედრულ ასოებით უშნოდ. 35×21,5 სანტ. ზომით და 379 ფურცელს შეიცავს, რომელიც მტკიცედაა შეკრული თხელ ქაღალდის ყდაში. თითო გვერდზე 25—27 ბწკარია დატეული (29×15 სანტ.), პაგინაცია ჩვეულებრივია რვეულებად რვა-რვა ფურცელი. თავში ხელთნაწერს აკლია 94 რვეული, ე. ი. 752 ფურცელი*.) სულ ხელთნაწერში 143 რვეული ყოფილა, ე. ი. 1144 ფურცელი. ეს ხელთნაწერი 95—143 რვეულებს შეიცავს, რომელთაგან 112 რვეული 9 ფურცლიანია, 131 რვეული—ათი ფურცლიანი, ხოლო 115 რვეული კი—სრულიად არ არის. ხელთნაწერის ხელი ყველგან ერთნაირია. ავტორი და თარიღი არ არის ნაჩვენები. მართლწერა აბნეულია.

შინაარსი ხელთნაწერისა შემდეგია: იოანე ხელაშვილი უკვე ეჩმიაძინშია, თვისის მარშრუტის უკანასკნელ პუნქტში—სომხეთში. როგორც ყველგან, ის აქაც სარგებლობს შემთხვევით გამოიჩინოს თვისი ცოდნა და გაბამს ერთს ვართაპედთან სჯა-ბაასს (დისპუტს) ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ საკითხებზე და სარწმუნოებრივ თემებზე. ვართაპედის მსჯელობა მოხიბლავს იოანეს და ის გადასწყვეტს სომხის სარწმუნოება მიიღოს. მაგრამ ამ დროს ეჩმიაძინს ქართლიდან მღვდელი გიორგი შავმელიქიშვილი მივა და შეიტყობს იოანეს განზრახვას, დაჰტუქსავს და უკანვე ტფილისში წამოიყვანს. ტფილისში იოანე ცოტახანს დაჰყოფს. აქ მას, სხვათა შორის, გულითადი მისი მეგობარი ზურაბ ღამბარაშვილი ინახულებს, და შესჩივლებს:—მამული წამართვა ბატონმა და სამართალი ვერსად ვპოვეო. იოანე ჯერ დაამშვიდებს მას და მერე ამცნებს—მე უკვე რუსეთში გადავწყვიტე წასვლაო. ისედაც „დატანჯულ" ზურაბს ეს ამბავი მეხად დაეცემა, ის წავა, გადავარდება მტკვარში და თავს იღრჩობს. დამწუხრებული იოანე სამძიმრის უსტარს მისწერს მეგობრის ოჯახობას და შემდეგ მეფის (გიორგი XII-ს) ძეებთან, იულონ და ფარნაოზთან ერთად რუსეთს გაემგზავრება. გზად ისინი ვორონეჟში შეჩერდებიან, სადაც იულონი და ფარნავაზი დარჩებიან, ხოლო იოანე კი მოსკოვს წავა და იქიდან პეტერბურგს. პეტერბურგში ხელაშვილს ტკბილად მიიღებს იოანე ბატონიშვილი, რომლის შუამდგომლობით იგი შემდეგ ალექსანდრე ნეველის ლავრის „სკოლაშიაც" შევა და რუსულ ენას შეისწავლის. ერთხელ მას, როგორც უცხო ეროვნების მოწაფეს, მიტროპოლიტი ამბროსი (პეტერბურგისა 1800—1816 წ. + 1818) თავისთან მიიხმობს და მოაყოლებს—თუ ვინ და რით იყო და არის ცნობილი საქართველოში, ამა თუ იმ სარბიელზე და უფრო კი—სამწერლოზე *)ს მიტროპოლიტის შემდეგ ხელაშვილს ვხედავთ მირიანთან და ვახტანგთან მობაასეს, პეტერბურგშივე მცხოვრებთ მეფის (გიორგი XII) ძეებთან**). უფრო საგულისხმიეროა ხელაშვილის ბაასი ვახტანგთან, რომელს იგი ვრცლად მოუყვება საქართველოს ისტორიას წმიდა ნინოს მოსვლიდან ვიდრე 1518—1519 წლამდე, რომლითაც თავდება ეს ხელთნაწერი.

ჩვენ გარდმოვეცით **კონსპექტიურად** მხოლოდ-ღა **ხემა** ხელთნაწერის შინაარსისა და ვრცლად მის განხილვას,—თუმცა ეს შინაარსი ყოველმხრივ მდიდარია,—არ შევუდგომივართ; ყოველ-დღიურ გაზეთის ფურცლების ამ ნაირ წერილებით აჭრელება ზედმეტად მიგვაჩნდა...

ამ მიზეზისა გამო ჩვენ არას ვიტყვით აქ აგრეთვე იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს „კალმასობის" ავქსონი—იოანე ბატონიშვილი, როგორც აქამდე ჰფიქრობდენ, თუ სხვა ვინმე, და არც იმაზე, თუ სად და რომელ წლებში დაიწერა „კალმასობა", თუმცა ყველა ამ კითხვების გადასაწყვეტად საკმაო მასალა მოგვეპოვება.

ვრცელსა და ყოველმხრივ შრომას ამ ხელთნაწერის თაობაზე უკვე ცალკე ვამზადებთ და სურვილი გვაქვს, თუ კი რაიმე ხელის-შემშლელი პირობები არ გადაგვეღობა, ჩვენს საისტორიო საზოგადოების კრებულში „ძველს საქართველო"-ში მოვათავსოთ.

დასასრულ შევნიშნავთ, რომ შესაძლებელია კიდევ შემდეგი გაგრძელება ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ნაწილი „კალმასობისა" იყოს სადმე, სადაც, საფიქრებელია, რუსებზე და მათ ზნე-ჩვეულება-ისტორიაზე იქნება მოთხრობილი. საქმე იმაშია, რომ აწ უკვე ცნობილ „კალმასობის" ნაწილში (როგორც დაბეჭდილში, აგრეთვე ჩვენ მიერ ნაპოვნითაც) როდესაც რომ უცხო ერები (საზოგადოდ) ნახსენებია, რუსებზე კერძოდ სიტყვა არაა ჩამოგდებული... და ეს ჩვენი მოსაზრება კიდევ მით უფრო მისაღებია, რომ „კალმასობის" ავქსონს, როგორც ეს ეხლა ირკვევა, რუსეთში უცხოვრია და რუსეთშივე დაუწერია თავისი თხზულება. მოსალოდნელია ამიტომ, რომ ის „რუსებსაც" გააცნობდა თავის თანამემამულეებს... მაგრამ, თუ მართლადაც „კალმასობის" ეს ნაწილიც აღმოჩნდა, ის ჩვენთვის უსარგებლო იქნება და არც რუსებისათვისაც ექნება მაინცა და მაინც მნიშვნელობა, ვინაიდან იმ დროიდან, როდესაც დაიწერა „კალმასობა", რუსებს აუარებელი მწერლობითი მასალა მოეპოვებათ.

დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ჩვენს ხელთ-ნაწერს, როგორც „კალმასობის" **დაბოლოვებას,** მალე გამომცემელი გამოსჩენოდეს.

**ხამ. ცომაია.**

*) საქმე იმაშია, რომ ჩვენი ხელთნაწერი არ უნდა იყოს პირდაპირი გაგრძელება „კალმასობის" გამოცემულ ნაწილისა (იხ. გამოც. „ცნობის" რედაქ. ნაწ 1, 1896 წ. და ბაქრაძის წინასიტყვაობით ნაწ. 2, 1897 წ. და მეორე გამ. ზ. ჭიჭინაძისა, ტფ. 1896 წ.. ჩვენს ხელთნაწერში იოანეს ვხედავთ უკვე ეჩმიაძინში და მარტოდ-მარტო. თუ სად მოსცილდა მას ღამბარაშვილი და აგრეთვე ცნობები იმ სოფლების შესახებ, რომლებს ის ზურაბთან ეჩმიაძინამდე გაივლიდა, ხელთნაწერში არ არის და ჯერ-ჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

*) ეს უეჭველად (გარდა ბოლო ფურცლებისა. იხ. აქავე შენიშ. ბოლოში) „კალმასობის" უკვე დაბეჭდილი ნაწილია.

*) ამ საუბრის ნაწყვეტი ბ-ნ ე. თაყაიშვილს წ. კ. გ. საზ. ხელთნაწერთა კოლექციაში უპოვნია (N 3677) და ისტორიულ საზოგადოების კრებულში „ძვ. საქარ."-ში (ტ. I. განყ. III, 1—55 გვ.—1909 წ. მოუთავსებია შემდეგი სათაურით: „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის". მას ბ-ნი თაყაიშვილი თვლის ოფიციალურ დოკუმენტად, რომელიც უნდა წარედგინოს თეიმურაზ ბატონიშვილს (გიორგი XII-ს ძე) სინოდის ობერ-პროკურორისათვის ან სინოდისავე თავმჯდომარე—მიტროპოლიტისათვის (იხ. ibid. შენიშ. 55—60 გვ.)

**) მაგალითად—ხელთნაწერში მვირფასი ცნობებია მეფის გიორგი XII-ს ძეთა რუსეთში ყოფა-ცხოვრებაზე, აგრეთვე მათთან გადასახლებულ ქართველებზედაც. საყურადღებო ცნობებია ხელთნაწერში საქართველოს ადგილმდებარეობის, მეზღვრეებთა რაოდენობის (მე-XVIII საუკ. დასასრ.), მოსავლის, ზომა-საწყაოს შესახებ დასხ. „ისტორიული ნაწილიც ხელთნაწერისა აღსავსეა იმისთანა ცნობებით, რომლებიც არც „ქართლ. ცხ."-ში და არც სხვა წყაროებში არ მოიპოვებიან. მაგალ. ისტორია დასტურლამალის შედგენისა, წესი გიორგი ბრწყინვალის მეფედ კურთხევისა და სხვა...

## ბიბლიოგრაფია *)

**ტფ. ქართ. ფილარმონიულ საზ.-ების მიერ გამოცემული.**

ზაქ. პ. ფალიაშვილი:

N 2. ორი ქართული რომანსი: ა) «ნანაშვილო», ფასი 40 კ., ბ) „ახალ აღნაგო ხულო", ფ. 40 კ. N 3. «ქართული საგალობლი საგალობელნი», ფ. 1 მ. 25 კ. N 4. „რვა ქართ. სახალხო სიმღერა", ფ. 1 მ. N 5, „ქართული სახალხო სიმღერების კრებული", ფ. 1 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი"-ს რედაქციის მოწადინებით ვწერ იმ მოკლე შენიშვნებს ზემო-აღნიშნულ გამოცემების შესახებ. დავიწყებ „ქართულ სახალხო სიმღერების კრებულით" (№ 5), სადაც ავტორს მოთავსებული აქვს იმერლების, გურულების, რაჭველების, სვანების და ქართლ-კახელების სიმღერები ხელ-უხლებელ სახით. ამ კრებულს, აგრეთვე მე 3 და მე 4 ნომრებსაც, წინ უძღვის სუსტი წინასიტყვაობა. მაგრამ ამით, ჩვენდა სასიამოვნოდ, კრებულის ღირსება არა მცირდება. იგი, საერთოდ, ჩაწერილია სინდისიერად. უეჭველიც არის ამ უკანასკნელ უფრო ძველი ზემო აღნიშნულ შრომებიდან საქმის დიდი აწნია.

დანარჩენებიდან: „საეკლესიო საგალობელნი" წარმოადგენენ მუსიკანტ-მოხელის შრომას. რომ შევუდაროთ ეს (ფალიაშვილის) გარმონიზაცია დედანს (იპოლიტოვ-ივანოვის დიტურგიას) დიდ განსხვავებას ვერ ვპოვებთ. მთელი განსხვავება იმაში წარმოგვიდგება, რომ იპოლ.-ივანოვს ჩაწერილი აქვს სამ ხმად, ბ. ფალიაშვილს კი გადაღებული აქვს ექვს ხმად შერეულ (смѣшан.) გუნდისათვის, ადგ-ადგ კათოლიკურ კილოს (უფრო „оттѣнок"-ი) გაძლევს ქვეშ.

ძნელი კასკვებია რა მოსაზრებით გახვრდა ავტორი ამ ლიტურგიაზე, არა ბუნებრივ ტერციების და კვინტების მოძრაობით საგუნზე? რატომ არ იდნა უფრო ღირს შესანიშნავი რამ, მით უმეტეს რომ მომღერლების გუნდზე უნდა უძღვიდეს ამას?

სხვა ითქმის „რვა ქართულ სახალხო სიმღერაზე". აქ ფორტეპიანოს „შრილიუდიები" ზოგიერთ სიმღერებისა ხელოვნურად არის შესრულებული. მაგალითად „ნეტავი, გოგო, მე და შენა" და „ცანგალა"-სი; დანარჩენები კი, რუსები რომ იტყვიან—написано рутинно. და ასეთ შთაბეჭდილებას სხვა და სხვა ორკესტრული ნიშნებიც კი ვერ აქარწყლებს.

რომანსებზე შემდეგის თქმა შეიძლება:

„ნანა-შვილო" ხელოვნურად და საკმაო სიდამაზითაა შესრულებული „ახალ აღნაგო სულიკო" სავსებით დილეტანტური ნაწარმოებია, რუსულ ტექსტში ამნაირის ხმის ამაღლებით: Юной полюбив душою, оварив ѣдем красою და სხვა...

რასაკვირველია, მეტად სასიამოვნოა რომ ჩვენს ქვეყანაში, ეხლა მაინც, დაარსდა საზოგადოება, რომელიც მიუხედავად დიდის ხარჯისა, თავის წევრების შრომებსა ბეჭდავს.

მაგრამ რითი უნდა აიხსნას ასეთი გულუხვობა? განსაკუთრებით კი მასალის გაურჩევლობა?

ნუ თუ თანხის სიდიდით?

თუ ასეა, ჩვენ ვიტყვით — ... უყვარი, მაგრამ იცოდე, ... იქვენ თვითონვე ძირს უთხრით საქმის სერიოზულ მნიშვნელობას. გამოცემა მშვენივრად არის შესრულებული.

**დიმიტრი არაყიშვილი.**

*) ვბეჭდავთ ამ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას. იმედია მუსიკის სხვა მცოდნენიც, ამოიღებენ ხმას და ფილარმონიულ საზოგადოების გამოცემების შესახებ თავის აზრს გამოსთქვამენ. **რედ.**

## ქუთაისი

(ცეცხლით დაზარალებული ოჯახი).

2 იანვარს, ნაშუალამევის 3 საათზე, არქიელის გორაზე, გადაიწვა სახლ-კარი და მთელი სარჩო-საბადებელი ქუთაისის ქალაქის მესამე პირველ-დაწყებით სკოლის მასწავლებელ ნ. მესხისა. საქმე ასე იყო: ნ. მესხს თვეზე მეტია, რაც ცოლი და ერთი შვილი ავადა ჰყავს. მოგეხსენებათ ქუთაისში დღეს მეტად მაგარი ყინვებია, ამის გამო მას იმ საღამოს ბუხარი ძალზე გაუხურებია, შემდეგ თვითონაც გვიან დაწოლილა.

ავადმყოფის მოვლით დაღლილს მაგრად დასძინებია. ნაშუალამევს 3 საათზე, შემოჰსმია ცეცხლის გუგუნი; უცებ გამოუღვიძნია და დაუნახავს, რომ იმ ოთახში, რომელშიაც თვითონ იწვა ავადმყოფებით და აგრეთვე მეორე ოთახშიც ჭერს მოდებული აქვს ცეცხლის ალი. აზრ-დაბნეული წამოვარდნილა და უყვირნია, ავადმყოფები გარედ გამოუყვანია; ყვირილზე მახლობელი მეზობელი მოსულა და ავადმყოფები თავისთან წაუყვანია; ამასობაში სხვა ოთახებში მოხუცებულ დედას, შვილებს და მობინავე მოსწავლეებს გაუღვიძნიათ და შიშველნი გამოცვივნულან გარედ. მეზობლებსაც მოუყრიათ შემდეგ თავი.

ცეცხლის მქრობელი რაზმიც უწყლოდ ასულა გორაზე, მაგრამ დაუგვიანიათ, რადგანაც სახლი მთლად ცეცხლის ალში იყო გახვეული. წყალი არ იშოვებოდა და გაყინულმა თოვლმა ვერ იმოქმედა. ამ გვარად გადაიბუგა ექვს-ოთახიანი სახლი ყოველივე ნივთები და ოჯახის მოწყობილება, რაც კი რამ მოიძებნებოდა შიგ. არც სახლი და არც ნივთები არ იყო დაზღვეული. მთელი ოჯახი, რომელიც შესდგება ათი სულისაგან, აგრეთვე მობინავე სხვათა შვილები შიშველნი დარჩნენ. ზარალი ოთხი ათას მანეთს აღემატება. ავადმყოფი ცოლი და მოხუცი დედა დღესაც გონზე ვერ მოსულან. მდგომარეობა აუწერელია.

ქუთ. პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელთ დაადგინეს, ხელის მოწერა გამართონ როგორც თავიანთ ისე ქუთაისის სასწავლებელთა შორის, დაზარალებულ ოჯახის სასარგებლოდ, აგრეთვე ქალაქის გამგეობის წინაშე იშუამდგომლონ. იმედია ქალაქის გამგეობა და ქუთაისის მასწავლებელნი დაზარალებულთა

---

ამისათვის, ბატონ-ყმურ წეს-წყობილებაში, საზოგადოებრივ კეთილდღეობის ფაქტორი შრომის ინტენსივობა— თან და თან იხრწნება, უძლურდება; ამით მთელი საზოგადოებრივი ცხოვრებაც უძლურდება და ეცემა.

საქართველოს ბატონ-ყმურ ცხოვრების უკანასკნელ მიწურულში, საზოგადოებრივი სიღარიბე და უძლურება უმწვერვალესად განვითარდა. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს დაბალ ხალხის ასეთი სივიწროვე და სულიერი სიღატაკევრობაში, მაგალითად საფრანგეთში, განსაკუთრებით განთქმულია მე 17 და მე-18 საუკუნოების გლეხკაცობის უკიდურესი გაჭირვება; იქ ხალხის სიუძლურე იქამდის მივიდა რომ მთელი არსებული წეს-წყობილება აირ-დაირია, საზოგადოებრივი ჯგუფები ერთი მეორეს ვეღარ სცნობდნენ, ქურდობა და მტაცებლობამ მოქალაქეობრივ ცხოვრების ადგილი დაიკავა, მთავრობები, იძულებული გახდნენ თითქმის ოჯახის ყოველგვარ ნივთზე ბაჟი, გადასახადი დაედოთ, სავალდებულოთა ხდიდნენ ისეთ საქონლის ყიდვას, რომელიც მთავრობას სურდა და რაც მთავრობას ფულს შესძენდა. ამისთანა იძულებითი ზომებით სურდით აღედგინათ დარღვეული და აწეწილ-დაწეწილი ეკონომიური ცხოვრება; მაგრამ, საფრანგეთის გლეხ-კაცობის საშინელი მდგომარეობა საქართველოს გლეხ-კაცობისათვის პირდაპირ სანატრელად ჩაითვლებოდა.

საქართველოში გლეხ-კაცობისე ბედის დიდებითა და გარდასახადების მომატებით ვინ დაკმაყოფილდება? რადგან საზოგადოებრივ სიღარიბით მწარმოებელმა ძალამ თან და თან დაჰკარგა ნაყოფიერება და ქვეყანაც ნივთიერს სიღატაკეში ჩავარდა, რასაც კიდევ უფრო აწვავებდა და ანვითარებდა მთელი რიგი შემაძრწუნებელ ომიანობისა, მებატონეები ცოფიან მგლებივით ძიძგნიდნენ გლეხ-კაცობას, იტაცებდნენ და განუკითხავად ფლანგავდნენ ყმების ყოველგვარ ავლა დიდებას. ყმები ერთიანად გაღატაკდნენ, გაპათხოვრდნენ...

ასეთს აუტანელ პირობებში სცხოვრობდა საქართველო, როდესაც მან რუსეთს შეაფარა თავი. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ გენერალმა კნორინგმა, დაინახა რა ეს აუტანელი მდგომარეობა, თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში აღნიშნა, საქართველო პირდაპირ აუწერელ მდგომარეობაში იმყოფება და გადაგვარების გზას ადგიაო. კნორინგის ცნობით, 1783 წელს საქართველოში ითვლებოდა 61 ათასი კომლი, 1801 წელში აქედან მხოლოდ 35 ათასი კომლი დარჩენილა!..

რუსეთის გაბატონების შემდეგ ქართველ გლეხების მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესებულა. სიღატაკე გადაიქცა ჩვენი ცხოვრების ქვა-კუთხედად, მწარმოებელი ძალა დაეცა და სოფლის მეურნეობა უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდა. უბრალო მეტეოროლოგიური მოვლენა იყო საკმარო, რომ მხარე შავბნელში გახვეულიყო. გლეხობის საუბედუროდ მე-19 საუკუნის პირველ ხანებში საქართველოს გლეხკაცობას რამდენიმე მოუსავლობა დაატყდა თავს; სიკვდილი და შავი ჭირი განვითარდა. ამ დროს „მცხოვრებლები თითქმის ყველგან ხის ფოთლებითა და ბალახით იკვებებოდნენ",—გვიამბობს ილია ხონელი,—ან გარბოდა სხვა კუთხეებშიო"[1]). 1812 წლის პირველ მარტამდე შიმშილიდან და შავი ჭირიდან თუ სხვა სენიდან ქალაქ ქუთაისში, ვაკეს, ბაღდადის, რაჭის, საჩხერეს და ჩხარის ოლქებში დახოცილა 32,750 კაცი, გარდახვეწილა 7,450 სული. გენერალ სიმონოვიჩის მოწმობით მცხოვრებთა $^{2}/_{3}$ მეტი განადგურებულა.[2])

გლეხ-კაცობის რაოდენობამ ძალზე იკლო, ბატონები კი ერთი ასად გამრავლდა. საქართველოსა და რუსეთის ბატონ-თავად-აზნაურებს კიდევ ახალი ბატონები მიემატა—ეს იყო ფულიანი ხალხი. მე-19 საუკუნის პირველ ხანებში მართალია სოფლის მეურნეობის კრიზისი საქართველოში გაალმასებული იყო, მაგრამ რუსეთის ძალის შემოსვლამ ვაჭრობა-მრეწველობის ერთნაირი განვითარება გამოიწვია. ვაჭრებს ჩვენი მთავრობის წარმომადგენელნი ძალიან მფარველობდენ პირველ ხანებში. ციციშვილის მოხსენებანი ალექსანდრე I-ის მიმართ მოწმობს, რომ ციციშვილი ფიზიოკრატიულ თავისუფლების მომხრე იყო და სმიტიანელებივით ფიქრობდა ვაჭარ-მრეწველების დახმარებით მხარის გაბედნიერებას. მაგრამ ამ მხრივ სმიტიანიზმი უსუსურია, ვაჭართა მფარველობა სრულიად არ მოასწავებდა მწარმოებელ ძალების მდგომარეობის გაუმჯობესობას და განვითარებას. მთავრობის ფრიტრედერულმა ზომებმა კი მცირე-რიცხოვანი ვაჭრები გაამდიდრა, გააბატონა და გლეხ-კაცობას კი ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანა.

გლეხ-კაცობა, როგორც დავინახეთ, უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, „ხალხი შიმშილით იხოცებოდა". გაძვალ-ტყავებული ყმების ყიდვა ადვილი შეიქმნა, და ფულიანი ხალხიც ხარბად დაეწაფა გამდიდრების ამ ახალ წყაროს. შრომას გადაჩვეული და ფუფუნების მოსურნე ფეოდალები სიამოვნებითა ჰყიდნენ ყმებს, და აი, ჩვენც ვხედავთ, რომ ყმების უფლება მარტო შთამომავლობით წარჩინებულ წოდებას კი აღარა აქვს, არამედ მღვდელსაც, გლეხსაც, გამდიდრებულ სომხებს, რუსის მოხელეთ და სხ. ყმობა ყიდვა-გაყიდვის საგანი გახდა, ყმები საქონლად გადაიქცა. ამ გარემოებას იმდენად ქონდა ნიადაგი საქართველოში, რომ ჯერ თვით ვახტანგის კანონდება აღიარებდა, რომ ნასყიდი ყმა უფრო დამონავებული და საიმედო (крѣпче) ვინემ სხვა გზით შეძენილიო [1]).

რამდენადაც ბატონები ყმების ყიდვა-გაყიდვით იკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებებს, იმდენადვე თვით ყმებისათვის აშკარა იყო პირველად ისა, რომ ბატონ-ყმობა ძალადობისა და უკულმართობის კითხვა ყოფილა და არა ღვთის მიერ დაწესებული დაკანონებული; მეორედ, ეს გარემოება თვალსაჩინოდ ხსნიდა ბატონ-ყმურ ელემენტების გახრწნას. ამისათვის, საქართველოს ყმები მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებიდან იწყებენ თავის დასახსნელად მოძრაობას, აწყობენ შეთქმულებას, აჯანყებებს და უმაღლეს დაწესებულებათ, სამმართველოებს განთავისუფლების მოთხოვნილებას უყენებენ. ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოთ გლეხების ხმა თან და თან ვითარდება, რუსეთის მთავრობა იძულებული ხდება მის წინააღმდეგ ხმა ამოიღოს და აი, 1820 წელში, უმართებულეს სენატში კიდეც შეეხენ ერთ საჭირბოროტო კითხვას, სახელდობრ, თუ რუსები რანაირად იძენენ საქართველოში ყმებსო? [2]) ამის შემდეგ გლეხ-კაცობის მოძრაობა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ თან და თან მწვავდება და რუსეთის მთავრობა მე 30—40 წ.წ. იძულებული ხდება რაიმე საშუალებანი გამონახა გლეხთა მოძრაობის დასაწყნარებლად. მაგრამ მთავრობის განზრახვანი არავინ იცოდა და თათბირიც მალულად სწარმოებდა. 1843 წელს, კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ ნეიდგარდტს ებრძანა, ხალხის მოძრაობა არ გაევითარებინა და არც არავისთვის გაეზიარებინა მთავრობის აზრი გლეხთა მოძრაობის შესახებ [3]).

მაგრამ განა მთავრობას გლეხ-კაცობის სვე-ბედზე მალული მოლაპარაკებით შეეძლო დაეცხრო ხალხური მოძრაობა?, რა თქმა უნდა, გლეხობის მდგომარეობა იმდენად რთული და აუტანელი იყო, სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, ძველ და ახალ ცხოვრებას შორის წინააღმდეგობა იმდენად გაალმასებული, რომ ყოველივე მოსაზრებანი მთავრობის უბრალო პოლიტიკი იქნებოდა და გლეხების მძიმე იარებს მალამოს ვერ დასდებდა.

მართლაც ასე მოხდა. ცხოვრებამ აშკარად აღიარა ბატონ-ყმობის აუტანლობა, გლეხ-კაცობის საშინელი მდგომარეობა და მეორმოცე წლებში ამ მხრივ პირობებს იმდენი მტერი და მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომ თვით რუსეთის ბიუროკრატიულ „უმაღლეს სამართველოს" ოფიციალურად შეეძლო მოეკრიბა ცნობები, რომელიც აშკარად ნუსხავდა, რომ 1843—1846 წ. წ. იმერეთში გლეხ-კაცობის შორის განთავისუფლებას მიისწრაფოდა 771 სული, მებატონე-მემამულეებს არ ემორჩილებოდა—132 კაცი და სხ.*).

მართალია, ეს მოძრაობა ჯერ კიდევ უძლური იყო, ოფიციალურ ცნობას არ შეეძლო ყოველი შემთხვევა გლეხთა მოძრაობისა აღენუსხა, მაგრამ მე-40 წლებში განვითარებული მოძრაობა თან და თან დიდდებოდა, წინააღმდეგობის ხმა მაღლდებოდა და ამას სხვა გარეშე მოვლენებიც ემატებოდა: ამ მოძრაობას და საერთოდ ბატონ-ყმობის 1861 წელს გამოცემულმა უკაზმა მოუღო ბოლო. ამ უკაზით ბატონ-ყმობა ოფიციალურად მოისპო.

**თევდ. ღლონტი.**

[1]) И. Хонели: „Податное обложенiе". გვ. 60 იხ. „Сводъ матеріаловъ"... т. I, ч. III.

[2]) Хонели, გვ. 61.

[1]) იხ. Семенъ Эсадзе: „Историческая записка объ управленіи Кавказомъ" т. I გვ. 289.

[2]) Эсадзе, „Историческая записка" გვ. 286.

[3]) ესამის დასახელებული ნაწარმოები, გვ. 287.

*) ესაძე „Историческая записка".. ст. 304, т. I.

ლები სცხოვრობენ, ძალიან საშიშია. არის ისეთი სახლები, სადაც 3—7 ათასამდე სული სცხოვრობს. გენერალ-გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნია ცალკე ქალაქის გაშენება ქალაქს გარედ ჩინელებისთვის. მალინოვსკის დაუთვალიერებია ის ადგილები, მაგრამ არაჩვეულებრივი რამ ვერ უნახავს. მალინოვსკის ოპტიმიზმს ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია ადგილობრივ მცხოვრებლებზე.

—

„რუსკ. სლ." ხარბინიდანატყობინებენ, ფუძიადიანში აღმოაჩინეს სასაფლაო, რომელშიაც 2 ათასი მკვდარი იყო ჩაფლული სულ ერთი არშინის სიღრმეში. რადგანაც გაზაფხულზე ამ სასაფლაოდან შავი ჭირი ადვილად გავრცელდებოდა, მალინოვსკიმ ბრძანება გასცა, მკვდრები ამოიღონ და დასწვან.

იმავე გაზეთს ხარბინიდან სწერენ, ჩინეთის სოფლებში შავი ჭირი საშინლად მძვინვარებს, მთელი სოფლები ამოწყდაო. შავ ჭირს ზედ ერთვის ხუნხუზების ძარცვა-გლეჯა. ჩინეთის სალდათები მაშინ გამხდარან ავად, როდესაც შავი ჭირით მოდებულ სოფლებში დაძრწოდნენ. ხუდაჩენში სალდათებმა გაჰფანტეს აჯანყებული ბრბო და ხუნხუზები.

# ახალი ამბები

## ტფილისი

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსანი ბ-ნი ქობულაშვილი საბჭოს წინაშე შუამდგომლობს, სუნჯუნსკის ხევზე გაყვანილ იქმნეს ქუჩა და თვით ხევიც გაასწორონ და მოჰკირწყლონ, რათა თავიდან იქმნეს აცილებული ის უბედურება რომელიც მოსალოდნელია ნაძალადევში მომავალ წყალდიდობის დროს.

✦ 12 თებერვალს ქალთა უმაღლეს კურსების სადგომში ნ. მ. სპილიოტი წაიკითხავს **ლექციას** შემდეგს თემაზე: „ქვეყანა სიკვდილისა და ქვეყანა სინათლისა" (იდეა იმ ქვეყნიურ ცხოვრებისა და ხელოვნება ეგვიპტელთა და ბერძენთა). ლექციის შემოსავალი კურსებს მოხმარდება.

✦ როგორც გვატყობინებენ, 12 თებერვალს იურიევში გაიმართება ჩვეულებრივი (VIII) **ქართული საღამო,** აქაურ სათვისტომოს ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ.

✦ 6 თებერვალს ტფ. სასამართლო პალატამ 3 წლის პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა ტრიფონ გულუას (ოქროპირძეს,) რომელსაც **იარაღით თავდაცემა** ბრალდებოდა.

ამავე დღეს პალატამ 10 წლის კატორღა მიუსაჯა მიხეილ იმნაძეს, რომელიც სამართალში იყო მიცემული სასჯელთა დებულების მე-1453 მუხლის მე-13 და 3 ნაწილის ძალით

✦ როგორც გვატყობინებენ, 7 თებერვალს ქუთაისის კლუბში **საღამო** გამართულა ქ. შ. წერა-კითხვის ადგილობრივი განყოფილების სასარგებლოდ. საღამოს დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. საღამოს დაწვრილებითი ანგარიში ჯერ არ მიგვიღია.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ქობულაშვილმა ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა, რომელშიაც თხოულობს დედათა პროფესიულ სასწავლებლის ერთის განყოფილებისა და ერთის ახალ ასეთის სკოლის დაარსებას. ამას იმით ასაბუთებს, რომ ქალაქის პროფესიული სკოლა სწავლის ყველა მსურველს ვერ იტევს და მომეტებული მათგანი სკოლის გარედ რჩებაო.

✦ **დასაფასებილი გადასახადის** აკრება წელს უკედ მიდის, ვიდრე შარშან. ამ წლის პირველ იანვრიდან 5 თებერვლამდე ქალაქის კასაში შეტანილ იქმნა 117,408 მან. 78 კაპ. ამავე ხნის განმავლობაში შარშან აკრებილ იქმნა 101,925 მან. 11 კაპ.

✦ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სასანიტარო სამკურნალოს ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი 13 თებერვალს მიემგზავრებიან პეტერბურგს **ხოლერის საწინააღმდეგო კრებაზე** მონაწილეობის მისაღებად.

✦ **ტფ. სავაჟო პირველ გიმნაზიის** ახალი დირექტორი ბ-ნი გენკელი პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვა 12 თებერვალს.

✦ დღეს ვანქის ტაძრის შენობაში საგანგებო კრება ექნება **ეჩმიაძინის ტაძრის** განმაახლებელ კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს ამ ტაძრის განახლების საკონკურსო პროექტები.

✦ ტფ. გუბერნატორმა პოლიცმეისტერს დაავალა, რომ წესიერების დასაცავად აუცილებლად **პოლიციელი გაჰგზავნოს** ხოლმე საზოგადოებათა და კლუბების იმ კრებებზე, რომელზედაც დასწრების უფლება, წევრთა გარდა, გარეშე პირთაც აქვთ.

✦ 19 თებერვლის დღესასწაულის მომწყობმა ბიურომ, რომელიც დაარსდა ქალაქის გამგეობასთან, ევლაბარსა, ვერასა და ხარფუხში უკვე იშოვა შესაფერი შენობები საიუბილეო წარმოდგენათა და კითხვათა გასამართავად.

✦ წარსულ იანვრის განმავლობაში, როგორც სასანიტარო სამკურნალო ინსპექციის ცნობა გადმოგვცემს, **ტფილისში გადამდებ სენით ავად გამხდარა 108** კაცი.

✦ ამ დღეებში პალატამ გაარჩია **საქმე 50 წლის ქალის** ფენია ჩერგუნიასი. მას ბრალად ედებოდა ის, რომ ჩაიცვა მამაკაცის ტანისამოსი, ცეცხლი წაუკიდა ოთარ ჩუგურიას სახლს და, როდესაც ოთარი გარედ გამოვარდა მაშინვე ქალმა რევოლვერი ესროლა და მოჰკლა, შემდეგ შეეცადა, მისი ცოლი ელენეც მოეკლა, მაგრამ მხოლოდ დასჭრა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ჩერგუნიას 10 წლის კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო „უფასო და იაფ-ფასიან სასადილოებისა და საჩაიების" საზოგადოებას, გამართოს **ლოტარეია-ალეგრი**

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე **წარმოდგენილ იქმნენ ქართულად პიესები:** 1) „შურისძიება" დრამატიული სცენები სამ სურათად ელ ი. ჯამბაკურ-იან-ორბელიანისა, 2) „ალი" 4 მოქმედ. პიესა ტრახტენბერგისა, თარგმანი ივ. ბარელისა და 3) „გაზაფხულის მომხიბვლელობა" პიესა 4 მოქმედებად, ს. ჭანტურიშვილისა.

✦ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება გამგეობის წევრად **გ. დ. ჟურულის** არჩევის შესახებ.

✦ სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი იმისა, რომ **კავკასიის მუზეუმისთვის** ახალი შენობა ააგონ (პ. ღ. ს.).

✦ სენატმა გააუქმა ტფ. სასამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც **„ნოვაია რეჩ"-ის რედაქტორს** 3 თვით ციხეში დაპატიმრება ჰქონდა გადაწყვეტილი და სრულიად გაამართლა. (პ. ღ. ს.)

✦ **„სინათლე"-ს რედაქტორი** ი. პ. როსტომაშვილი, რომელიც გუშინ წინ დააპატიმრეს, გუშინ უკვე გაანთავისუფლეს.

✦ 8 თებერვალს ტფილისში უეცრად **გარდაიცვალა** ქალაქის საბჭოს ხმოსანი ი. ნ. მარკოზოვი. ქალაქის გამგეობამ ამის გამო დაადგინა: 1) გამოუცხადოს თანაგრძნობა განსვენებულის ოჯახობას, 2) დაესწროს მის დასაფლავებას და 3) გვირგვინით შეამკოს მისი კუბო.

✦ ქალაქის გამგეობამ უკვე შეუდგა იმ პირთა სიის შედგენას, რომელნიც წელს **ჯარში უნდა გაიწვიონ.**

✦ ქალაქის გამგეობა უკვე ჰბეჭდავს ხმოსანთა იმ **ამომრჩეველთა სიას,** რომელთაც საქალაქო გადასახადი სრულიათ აქვთ გადახდილი.

✦ ტფ. მაზარში იანვრის განმავლობაში მომხდარა: 4-ჯერ მკვლელობა, 4-ჯერ დაჭრა, 4-ჯერ იარაღით გაძარცვა, 3-ჯერ საქონლის მოტაცება, 9-ჯერ ცეცხლის წაკიდება, ორჯერ ქურდობა. ამ საქმეთა გამო შეუპყრიათ 19 კაცი.

✦ 12 თებერვალს ქალაქის საბჭოს **სარევიზო კომისიის** კრება მოჰხდება ქალაქის თვითმმართველობის 1908 წლის მოქმედების ანგარიშის განსახილველად.

✦ **სააღრესო სტოლის წესების** დარღვევისათვის ტფ. გუბერნატორმა თითო თუმანით დააჯარიმა: ალექსანდრე მარტიროსოვი, მარიამ მინეევი, დიმიტრი ბადრიძე და სერგო ცირიანოვი. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, სამ-სამის დღით დააპატიმრებენ.

✦ 13 თებერვალს სახალხო სახლში წარმოდგენას გამართავს ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე. წარმოდგენის შემოსავალი გადაიდება **შ. ი. დემურიას სახელობის ფონდის დასაარსებლად.**

✦ **ქართულ ეროვნულ მუზეუმის** დაარსების საკითხი, როგორც მკითხველებმაც იციან, უკვე გადაწყვეტილია. ამ ჟამად საგანგებო კომისია ეძებს ისეთს ადგილს, სადაც მოსახერხებელი იქნება მუზეუმის შენობის აგება.

✦ მოსკოვში წელს სახელმწიფო ეგზამენები ჩაუბარებია ორს ჩვენს თანამემამულეს. სილოვან გრიგორის ძე გაბუნიას (უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი) და ირაკლი ზაქარიას ძე ლუკიანოვს (საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელი).

✦ გუშინ კავკ. სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო ცნობილი **აშორდიას საქმე** (ყალბ დოკუმენტების დამზადებელი), ყველა მოწამე და დამცველებიც მოსულნი იყვნენ მაგრამ რადგანაც მომხსენებელი სასამართლოს წევრი ვერ გასცნობოდა თავის დროზე უზარმაზარ საქმეს (საქმე 556 ტომისაგან შესდგება), ამიტომ გარჩევა საქმისა გადაიდო.

✦ გუშინ და გუშინ წინ **ტფილისში საგრძნობლად ჩამოთბა.** მტკვარმაც მოიმატა.

✦ ფოთსა, ტყვიბულსა და ქიათურის გზებზე მატარებელთა მიმოსვლა აღდგენილ იქმნა 7 თებერვლიდან.

✦ სოფელ ხორაგაულში (შორაპნის მაზრა) 7 თებერვალს ფოსტის განყოფილება გაიხსნა.

✦ დღეს კავკასიის ოლქის სამხედრო სასამართლო ფულის გამომტყუებელ ტერორისტთა საქმეს გაარჩევს.. მათ ბრალდებათ მუქარის წერილის მიწერა ვაჭარ მიხეილ ყულიჯანოვისათვის და ყუმბარების დამზადება მის მოსაკლავად. სამართალში მიცემული არიან შემდეგი პირნი: ალექსანდრე სოხაძე, გიორგი ტორიაშვილი, იოსებ ქურდოვანიძე, მათე ახალბედაშვილი, ალექსანდრე კუტივაძე, ივანე კარაპეტოვი, სოლომონ ჯანყულოვი და აბრამ გრიქუროვი. მათ ნიკვდილით დასჯა მოელით.

✦ ტფ. შესდგა ახალი **კოოპერატიული ამხანაგობა „მომავალი",** რომლის წესდება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. ამ დღეებში ამხანაგობის წევრთა საერთო კრება მოჰხდება თანამდებობის პირთა ასარჩევად.

✦ რუსეთის ბევრს ქალაქში წესად არის, რომ იმ პირებმა, რომელნიც ვაჭრობის მოწმობებს იღებენ, ცალკე გადასახადები უნდა გაიღონ საკომერციო **სასწავლებლის სასარგებლოდ.** ტფ. ვაჭართა მამასახლისი შუამდგომლობს, რათა ასეთი გადასახადი ტფილისშიაც იქმნეს შემოღებული.

✦ დღეს კრება ექმნება ქალაქის საგანგებო კომისიას, რომელმაც ხმოსანთა **ამომრჩევლების სია** უნდა შეამოწმოს.

✦ 8 თებერვალს ავლაბრის კლუბის სცენა გაიხსნა. ამ დღეს საღამოც გაიმართა ქართულ-რუსულ-სომხურ ენაზე.

✦ ბათუმში სიცივე იმდენად სუსტი ყოფილა, რომ, როგორც გვწერენ, ტროპიულ მცენარეებს არა ევნებარა, თუ გარშემო თოვლს შემოაცლიან.

# ჟურნალისტის დღიური

## 5.

**აუცილებელი საჭიროება.**

ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება წიგნების გამოცემის საკითხს ძალიან გულ-გრილად ეკიდება. საზოგადოდ გამგეობას დიდი საქმიანობა არ ემჩნევა, მაგრამ სხვა დარგებში ცოტა რამ მაინც კეთდება. წიგნების გამომცემლობა კი უყურადღებოდ არის მიტოვებული, საზოგადოებაში კი მოთხოვნილება არსებობს. ეს სხვათა შორის, იქიდანაცა სჩანს, რომ კერძო პირები ჰკიდებენ ხელს გამომცემლობას და კიდეც აწვდიან საზოგადოებას კარგა მოზრდილ გამოცემებს. გაცილებით უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა გამომცემლობის ეს საქმე რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკისრა. ამ კულტურულ დაწესებულებას აქვს ორი ფას-დაუდებელი საუნჯე რომლითაც მშვენიერად შეუძლიან ისარგებლოს—ქართველთა ფართო მასის ნდობა და სიმპატია. ეს ნდობა და სიმპატია იმდენად დიდია, რომ მის შემწეობით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას კარგი საქმე შეუძლიან გააკეთოს. ტეხნიკურადაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უკეთესად შეუძლიან მოაწყოს საქმე. მას ბევრი ადგილობრივი განყოფილებანი აქვს. ეს განყოფილებანი დიდს დახმარებას გაუწევენ მთავარს გამგეობას და წიგნების გავრცელების საქმეში ბუნებრივს აგენტებად გადაიქცევიან.

უფულობა ხელზე დასახვევი არ არის. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას შეუძლიათ გამომცემლობის იგივე წესი შემოიღოს, რანაირსაც კერძო პირები ხმარობენ ხოლმე—ხელის მოწერა. თუ გამგეობამ აგენტურა კარგად მოაწყო და შინარსიან წიგნების ბეჭვდაც დაიწყო, ხელის-

# საქართველოს გლეხ-კაცობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა ბატონ-ყმობის მოსპობამდე

გლეხ-კაცობის მდგომარეობა სადღეისო კითხვად გადაიქცა, საზოგადოების უმნიშვნელოესი მწარმოებელი ძალა იპყრობს ფართე მასსის ყურადღებას, მისი წარსული, წარსულის ისტორია გამხდარა ყველას აზროვნებისა და ფიქრის საგნად და ვისაც რითაც შეუძლია 50 წლის იუბილესათვისაც ემზადება.

ფრიად ბუნებრივია, რომ გლეხთა მდგომარეობა და განსაკუთრებით გლეხთა ბატონ-ყმურ პირობებიდან განთავისუფლება დღეს ყველას ყურადღებას იპყრობს. რა მიზეზების გამო შეუპყრია მთელ საზოგადოების ყურადღება 19 თებერვლის დიდებულ აქტს? რა მოხდა ისეთი, რომ მის წინ მოკრძალებით ქედს იხრიან თვით უკმეხი ძალები? რა დაინგრა, რა მოისპო ისეთი, რომ დღეს ყველა ჩვენგანი ცოტად თუ ბევრად გახარებულია?

ამის საუკეთესოდ გარკვევა იმ მდგომარეობის წარმოდგენით შეიძლება, რომელშიაც იმყოფებოდა რუსეთის გლეხ-კაცობასთან საქართველოს გლეხ-კაცობაც. გავითვალისწინოთ ის წყობილება, რომელიც ყოველ ადამიანს სულს უხუთავს, გულს უტკივებს,—და ჩვენ დავინახავთ, რამდენად სადღესასწაულო და სასიხარულო ყოფილა ამ წყობილების დანგრევა ფართე საზოგადოებისათვის.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ საკითხსაც სხლართად უნდა შევეხოთ, ერთი სიტყვა ვთქვათ, ათი სიტყვის ნაცვლად, რადგანაც დაწვრილებით განხილვა ამ საკითხისა, გაზეთის ფურცლებზე ყოვლად შეუძლებელია.

როდესაც საქართველოს მეფეს, ვახტანგ მე-VI-ს კანონებს ეცნობით, რომელიც რამდენადმე წარმოადგენს ბატონებისა და ყმების ურთიერთ დამოკიდებულება-კალდებულებებს, ან სხვა წყაროებს—„კავკასიის შესახებ ცნობათა კრებულის და სხვა და სხვა ტომებში მოქცეულს, ან „მასალებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხების შესასწავლად", ან „მასალების კრებულს"... ამავე გლეხ-კაცობის შესახებ, განსაკუთრებით ფოლიანტ „კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიის მიერ შეკრებილ აქტის" პირველ ტომებს და სხვა ცალკე წერილებს, ისტორიულ ნაწარმოებით და სხ. პერიოდულ გამოცემებში თუ ცალკე წიგნებში მოქცეულ ცნობებს, „გრამოტებს" და სხვ. თქვენ რწმუნდებით, რომ გლეხ-კაცობა ბატონ-ყმურ ხანაში ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო, პირველ-ყოვლისა ის არ წარმოადგენდა **ადამიანს,** რომელსაც თავისი საკუთარი, შეუბღალავი „მე" და ინტერესი აქვს,

მაგრამ, პირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფრიად საგულისხმიერო გარემოება, რომ ბატონ-ყმობის დროს, გლეხ-კაცობას პაცილებით მეტი მიწა-წყალი ჰქონდა, ვიდრე დღესა აქვს. მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მთელი მიწა-წყალი მებატონე-ფეოდალებს ეკუთვნოდა, ამათ განკარგულებაში იყო ყმები—გლეხ-კაცობა, და მათი საშუალებით თავიანთ მიწა-წყალს ამუშავებდნენ. უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ გლეხებს ბლომად ჰქონდათ მიწა-წყალი, მაგრამ თავისი კი არა, არამედ **საწარმოებელი, დასამუშავებელი,** საკუთრების უფლება მემამულეს ხელში იყო, შრომის—ყმის და ორივე—მემამულეს. ყმაც და მამულიც საშუალებანი იყო თავად-აზნაურობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რადგანაც ერთად ერთი წყარო მებატონეთა კეთილ-დღეობისა მიწა-წყალი იყო, მემამულეებიც დაინტერესებული იყვნენ თავიანთ მამულზე მეტი მწარმოებელი ყმა გაეჩინა, მეტად ფართოდ დაემუშავებია მემამულეებს ყმების ძალით თავისი სიმდიდრის წყარო მიწა—ადგილი.

ყმის ნივთიერი სიმდიდრე სრულებით არ იყო საზარალო მებატონე-მემამულისათვის. ყმას რომ კარგი სახლ-კარი აეშენებია, **ჯალაბობა** გაემრავლებია და დიდი ეზო-ჰოსახლობა გაეწყო,—არც ამაში ზარალობდა მემამულე ფეოდალი. წინააღმდეგ, ფეოდალი პირდაპირ იყო დაინტერესებული, რომ ყმას გაემჯობესებია თავისი კარ-მიდამო, რაიცა თვით ბატონის კარ-მიდამოს გაუმჯობესებას მოასწავებდა; ვინაიდან ბატონ-ყმობის უფლების ძალით, ყმის ნივთიერ კეთილ-დღეობით საბოლოოდ ისევ ფეოდალი სარგებლობდა. ყოველგვარი სურსათი, ტანთ ჩასაცმელ-სახურავი, საქორწილო-სატირალი, სადღეობო-საქეიფო,—ყოველივე ეს ყმების ზურგიდან იღებოდა. ვახტანგის კანონებით, ყმას თითქოს გარდაწყვეტილი ჰქონდა მოვალეობა ბატონებისადმი, მაგრამ ნამდვილად ამ მოვალეობის ბატონები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ყოველგვარი შემთხვევით, არა-ჩვეულებრივი და ჩვეულებრივი გარემოებანი ან, რაც კიდევ უფრო უარესია, უბრალო სურვილ-მოთხოვნილებანი იყო საკმაო და საკმარო, რომ ბატონს ყმის ოჯახიდან გაეტანა ის, რაც უნდოდა, რაც მოეწონებოდა ნივთი იქნებოდა გასატანი, ცხოველები, თუ ჯალაბის რომელიმე წევრი. ყველაფერი ბატონის სურვილების დასაკმაყოფილებლად იყო გაჩენილი.

მაგრამ მარტო მებატონეთა განუსაზღვრელ მოთხოვნილება-სურვილებით როდი ისაზღვრებოდა მებატონეთა თავ-გასულობა. ბატონს სტუმრები ეწვეოდნენ, და ყმაც ვალდებული იყო მის სტუმრებს გამასპინძლებოდა. ამიტომ არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა ყმისა და მემამულეს ოჯახში, რომ ეს მემამულესათვის სასარგებლო არ გამხდარიყო. თუ მებატონეს ოჯახის წევრი გათხოვდებოდა ან მიემატებოდა, ყმებს ამის გამო ბატონის ოჯახში ფული და სხვა და სხვა სანოვაგე უნდა მიეტანათ: პური, ღვინო, ლომი, საქონელი. თუ ბატონიანთ მოუკვდებოდათ ვინმე, მაშინ წასაბურავის სახელით ფული და სურსათი უნდა გაეღო ყმას. სამაგიეროდ თუ ყმის ოჯახს ვინმე გამოაკლდებოდა გათხოვებით ან გარდაცვალებით, მებატონე ყურსაც არ გაიბერტყდა, ხოლო თუ ყმა თავის ქალს გაათხოვებდა, ბატონი შეწევნის ნაცვლად, ყულებს ართმევდა, საჩექმოსა და სხვა ამის მსგავს სახელით. შეუძლებელია ყმის ბატონისადმი, ყველა მოვალეობის გახსენება.

თუ ასე მრავლისაგან მრავალია ყმების მებატონესადმი მოვალეობანი, განა ასევე უთვალავი არ იქნებოდა ის ვალდებულებანი, რომელთაც სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა, და რაიცა მხოლოდ ყმურ მდგომარეობაში მყოფ გლეხ-კაცობას აწვა კისერზე? ბ. ილია ბახტაძე—ხონელი თავის ფრიად საინტერესო გამოკვლევაში, რომელიც ყმების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობათა გარკვევას ეხება, მართალია ნუსხავს მთელ რიგს ყმების ბატონებისადმი მოვალეობას, რომელიც 38 მუხლს შეიცავს, მაგრამ ბ. ი. ხონელი სრულიად სამართლიანად ასკვნის: „დაწვრილებით ჩამოთვლა და აღნუსხვა ყველა გადასახად-მოვალეობების, რომელიც გლეხკაცობას ედო კისრად, ყოვლად შეუძლებელია. თვითონ თავადაზნაურობამ, „საქართველოს უმაღლეს მთავრობის" მოთხოვნილებების მიუხედავად ვერ შესძლო ყმის ყოველივე მოვალეობათა გამორკვევა და აღნუსხვა.*) სრულებით არ შევცდებით, თუ ვიტყვით რომ ყმა—სულიან-ხორციანად მემამულე—ბატონს ეკუთვნოდა. მემამულეს შეეძლო ყმისთვის ეცემა, როზგი დაერტყა გაშიშვლებულ სხეულზე, გამოეგდო ეზოდან, ცოლშვილს და სამშობლოს მოეშორებია, გაეყიდა, მანაწვალად გაეხადა. ვახტანგ მეფის დებულება გვიხსნის რომ მემამულე-ბატონს შეეძლო აგრეთვე თავის ყმა მოეკლა, უკანასკნელის, ყმის ოჯახობას, არ შეეძლო ან ვერ შესძლებდა უმაღლეს სასამართლოსათვის მიემართა, რომ სიმართლის გამოძიებით თავისი ინტერესები დაეცვა.

მებატონეთათვის ასეთი გარემოება ფრიად ხელსაყრელი იყო, აუტანელი იყო გლეხ-კაცობის მდგომარეობა, მაგრამ ყმები ძალაა და აუცილებლობის წინაშე იხრიდნენ ქედს და ამისათვის მწარმოებელი ძალა მთელ ბატონ-ყმურ ხანის პროცესში ერთხელაც არ გაფურჩქვნილა, სოფლის მეურნეობა ერთხელაც არ ასულა თავის სიმაღლეზე. პირიქით, რადგანაც მწარმოებელი ძალა თავის ნაყოფით ვეღარ სარგებლობდა, რადგანაც ყმის შრომა ტყუილ უბრალოდ იფლანგებოდა ალვირ-წახსნილ მებატონეთა მიერ, გლეხ-კაცობაც ინტენსიურად აღარ ამუშავებდა მიწას

*) იხ. И. А. Бахтадзе (ხონელი) „Податное обложеніе государст. кр. Закавк. Края" ნახე: Сводъ матеріаловъ для изученія эконом. быта госуд. кр. Закавк. Края" т. I ч. III გვ. 11.

მდგომარეობას თანაგრძნობით მოეკიდებიან.

ვთხოვთ თბილისის ქართულ-რუსულ გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი, რათა საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს

**ლადო ბზვანელი.**

## წერილი ფოთიდან

წლევანდელმა მოულოდნელმა ზამთარმა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ფოთელები, იმ პირებს, რომლებიც 50—60 წელია ფოთში ცხოვრობენ არ ახსოვთ ასეთი დიდი ზამთრობა. აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც განუწყვეტლივ სთოვს და თითქმის არშინ ნახევარზე მეტი დასდო. მდინარე რიონი, კაპარჭინა და პალიასტომი, რომლებიდანაც მოდიოდა მცხოვრებთათვის ზამთარში უსაჭიროესი საგნები, შეშა და სხვა, ერთობ გაყინულია, ისე, რომ კაცი თამამად გადი-გამოდის ზედ და არა ტყდება. რომ შეხედოთ გეგონებათ თითქოს აქ წყალი არ იყოსო, არამედ მიწა თოვლს გადაეთეთრებინა, მთელ ღამეებს განუწყვეტლივ სთოვს, დღისით კი ჰყინავს. მთელს ქალაქში მოძრაობა შეწყდა, ზოგიერთ ადგილას სახლები თავლები და საწყობები თოვლის სიმძიმისაგან ჩამოწვა. ეტლებისა და დროგების მიმოსვლა შეჩერებულია, მხოლოდ მარხილები დადის. გურულ გლეხებს ველარ შემოჰყავთ ურმები, რომლებსაც შაბათ-კვირაობით შემოჰქონდათ სიმინდის ფქვილი და სხვა საჭირო სანოვაგე. ამგვარათვეა სამეგრელოდან. ამას ზედ დაერთო მატარებლის მიმოსვლის შეჩერება და სხვ. ასეთ დიდ ზამთარს უჩვევი ფოთი დიდს განსაცდელში ჩავარდა. ძვირია ისეთი ოჯახი, რომლებსაც თუთხმეტი დღის სამყოფი შეშა ჰქონდეს, ნახევარზე მეტს ხომ სულაც არა აქვს. ამით ზოგიერთმა ჩარჩმა ვაჭრებმა ისარგებლეს და ყველაფერი ერთი ორად გააძვირეს. კოპიტის საჟენი შეშა 35—40 მანეთამდე ასწიეს, თხემლისა კი ოცი-ოცდა ხუთ მანეთამდე, მათ კი ვინ იცის როგორ ოხრის ფასად ჰქონდათ ნასყიდი. ერთი ამდენი სახლამდე მიტანა ჯდება, რადგან სხვა საშუალება არ არის იძულებულნი ხდებიან მუშები დაიჭირონ და ზურგით გადაზიდინონ შეშა. გირვანქა ნავთი 50 კაპეიკამდე ავიდა. აი როგორ ისარგებლეს ზოგიერთმა ჩარჩებმა ასეთი შემთხვევით. 7—8 მან. ნაყიდ შეშას თუთხმეტ— ოც მანეთად ყიდიან, თუ წინეთ ეს ვაჟბატონები ეხვეწებოდნენ მუშტრებს: თქვენი ჭირიმე ჩემგან იყიდეთ და ორი-სამი მანეთის მოგებით ყიდდენ ეხლა 10—12 და ხშირად 15 მან. მოგებას თუ დაჯერდნენ ისიც დიდი ხვეწნით. საკმარისია შეევაჭროთ მათ დანიშნულ ფასებზე რომ მაშინვე უკვახე სიტყვებით მოგმართონ: თუ გინდათ ეს ღირს, თუ არა და მიბრძანდითო. საერთოდ ამგვარ გაჭირვებას განიცდიან ფოთის მცხოვრები-მუშები. ასეთი მოულოდნელი ზამთრისაგან ვისაც კი მოეპოვებოდა ეზოში ნედლი ხე სულ გადასჭრეს და ისე გადიან იოლას.

ასეთი ზამთრის უჩვევი ფოთის მცხოვრებნი მეტად უმწეო მდგომარეობაში. რა გველის თოვლი რომ დნობას იწყობს ამ დაბალ ჭაობიან ადგილს, როგორიც ფოთია.

ამასთანავე ცრუმორწმუნოებამაც იჩინა თავი. „ქვეყანა გაირყვნა, სარწმუნოებას ეწინააღმდეგებოდნენ და მისთვის დაგვსაჯა ღმერთმაო“, სამწუხაროა ამგვარი ცრუმორწმუნეობის გავრცელება.

**ახ.—ამ. მაიდნელი.**

## ხმა თელავიდან

ბუნების სიმკაცრეს თელავი და მისი მიდამოებიც ვერ გადურჩა. თუმცა თოვლი სათქმელი არ მოსულა, სულ 3—4 გოჯი ვერც-კი დასდო, მაგრამ ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ არავის ახსოვს, რემიური დილით 12—14% გვიჩვენებდა. 30 და 31 იანვარს საშინელი ქარიშხალი ჰქროდა, მიმოსვლა შეუძლებელი იყო, თელავ-ტფილისის გზა გომბორზე შეიკრა თოვლის ნამქერებით. 30 იანვარს გასული დილიჟნები გომბორიდან უკან დაბრუნდნენ, ამ დღეს არც ფოსტა მოსულა.

თავად მოწყვეტილია თელავი ქვეყნიერობას და უამინდობის დროს უფრო საგრძნობელი ჰხდება, რასაც თან მოწყენილობა ჰყვება. მაშ გასამტყუნარი არა ყოფილა თელავის საზოგადოება, როცა დევიზად დროს გატარება გაუხდია. ეს გამოიხატება სხვა და სხვა გვარ თავშესაქცევში: მამაკაცებისათვის (რომელთა შორის გძელ კაბიანებიც გამონაკლისს არ შეადგენენ) ბანქო, ლოტო და კახური, ხოლო ქალებისათვის ტკბილეულობა და ლოტო.

თელავის კლუბის მამებმაც ალლო აუღეს და ყოველ ხუთშაბათობით ლოტოსა ჰმართავენ. რასაკვირველია, ყოველთვის ბლომად ესწრობიან, როგორც ჩვენი დედები ისე ქალიშვილები და შუაღამემდე შეექცევიან ამ ერთად-ერთ „კულტურულ“ დროს გატარებას, როგორც ერთხელ სწერდა „ცნ. ფ.“ ერთი თელაველი ქალი.

ამის შემდეგ გასაკვირველი აღარაა, რომ ყოველივე საზოგადო და საქველმოქმედო საქმე ჩვენ კურთხეულ თელავში ან მალე ისპობა, ან თუ არსებობს ვაი-ვაგლახით ღონღილობს. მაგალითების ჩამოთვლა მეტია, უამისოდაც ცხადია ჩვენი მოქმედება.

14 იანვარი, ეს ქართველთა რელიგიოზურ-ეროვნული დღესასწაული, იმაში გამოიხატება ხოლმე, რომ ქალიშვილებმა ერთმანეთს ულოცონ წმ. ნინოობა, ხოლო დედებმა სალამოთი, ლოტოზე „პედისიტ-შესტდისიტ“ იძახონ. ამის ნაცვლად ფიქრადაც არავის მოუვა ეს დღე რაიმე შინაარსიანად აღნიშნონ, შესაფერ სალამოს გამართვით და სხვა. წმ. ნინოობას აქაურ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში ჩვეულებრივი წლიური აქტი გაიმართა, სალიტერატურო განყოფილებით, რომელზედაც საზოგადოება ბარათებით იყო მიწვეული და რადგან ჩვენ იმ ბედნიერთა რიცხვში არ მოვყოლივართ, ვერაფერს ვიტყვით.

30 დეკემბერს საკათედრო ტაძარში, თელავის სამღვდელოებამ დეკანოზ შიუკაშვილის მეთაურობით პანაშვიდი გადაიხადა დეკანოზ დავით ღამბაშიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს საზოგადოება ძლიერ ნაკლებად დაესწრო, ჯერ ერთი უამინდობის გამო და მეორე არავინ იცოდა. კარგი იქნება, ამისთანა შემთხვევაში საქმის დამწყობთ პატარა განცხადება მაინც გამოაკრან ხოლმე წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში, რათა საზოგადოებამ გაიგოს და პატივი სცეს ამა თუ იმ პირის ხსოვნას.

მოახლოვდა ყველიერი და გასართობ საღამოების მართვას მოუხშირეს. 30 იანვარს გაიმართა პირველდაწყებით სკოლის სასარგებლოდ ქართულ-რუსული წარმოდგენა. ამის წინა კვირას საცეკვაო საღამო სომხეთა სკოლის სასარგებლოდ, 6 თებერვალს გაიმართა მასკარადი-მეჯლისი, 11-საც დანიშნულია ქართული წარმოდგენა, ხოლო ყველიერის სეზონი გათავდება 18 თებერვალს, როცა წ. კ. საზ. თელ. განყოფილება თავის სასარგებლოდ სამასკარადო საღამოს გამართავს. ამის ნებართვა უკვე აილო გამგეობამ და სამზადისსაც შეუდგა.

**დაგიწყებული.**

## მოწერილი ამბები

**სოფელი ბანძა.** (სენაკის მაზრა). 1910 წლის კარგის მოსავლით, გამხნევებული ხალხი წლევანდელმა მოულოდნელმა და უცნაურმა ზამთარმა დიდ საგონებელში ჩააგდო. ჯერ კიდევ ნოემბრის თვეში 14—18-მდე საშინელი აღმოსავლეთის ქარი ქროდა, რომელმაც, არა თუ შენობების სახურავები, არამედ ხეებიც კი მიდევ-მოდეწა. ოჯახი არ არის, რომელსაც ამ ქარის მიზეზით თუმნიდან ათ თუმნამდი ზარალი არ მოსვლოდეს; ამას არა ჩვეულებრივი ყინვები მოჰყვა; ლადგა თუ არა ახალი წელი წვიმები დაიწყო და თან თოვლი მოჰყვა. თოვს განუწყვეტლად აგერ ოცდა შვიდი დღეა, მხოლოდ ამ ხანში გამოერია სამი დღე და ცოტა მზემაც გამოაშუქა. ამისთანა დიდი თოვლი, სიმაღლე საჟენ ნახევარი, აქ არავის უნახავს და არც არავის ახსოვს. ამას დაუმატეთ ხუთ ექვს-ჯერ სახლებიდან გადმოყრილი თოვლი. წარმოიდგენთ, რომ სახლები თოვლშია ჩაფლული, თოვლი და სახლები გაერთიანებულია, ძნელები სართულზე ბუხრის სიმაღლესთან მიწოლილან. მისვლა-მოსვლა არამც თუ სოფლიდან სოფლამდე, არამედ მეზობლობაშიაც შესწყდა. სიმინდი ყანებში ვერ დააქვთ და ხალხი მახარშულ სიმინდით იკვებება. დიდი გაჭირვება და დიდი შიშის ზარიც დასცა ხალხს.

აუარებელი ზარალი მოგვაყენა. მრავალი სახლები და სხვა შენობები ჩამოწვა. სხვათა შორის ჩვენ სოფელში ჩამოწვა ორკლასიანი სამრევლო სასკოლო შენობა. ზარალი ჯერ კიდევ გამოურკვეველია ამისთანა ხალხის გაჭირვების დროს, მხოლოდ ჩვენი წვრილი ვაჭრები სარგებლობენ, რომლებმაც ხორაგეულობის ფასები ერთი ორად და ერთი—სამად ასწიეს. 6 თებერვლიდან ფოსტის მიმოსვლა შესწყდა და ყოველივე გარეშე ამბავს მოკლებული ვართ. 23 დღეა, რაც გაზეთები და წერილები არ მიგვიღია. ვიცი, როდის მიიღებს რედაქცია ამ მცირე შენიშვნას. დღეს, 29 იანვარია, დილიდანვე სთოვს.

**ბანძელი.**

**ახალციხე.** ადგილობრივ წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებას იაფფასიანი, სახალხო ბიბლიოთეკა დიდი ხნიდან, უნუგეშო მდგომარეობაშია. არ აქვს იმდენი, რომ უმეტესი საჭირო ჟურნალ-გაზეთებით დააკმაყოფილოს მკითხველები.

მართალია გამგეობა რამდენიმე რუსულ გაზეთებს იწერს ერთად-ერთი „სახალხო გაზეთი“-თურთ, მარა უნდა მოგახსენოთ, ადგ. ხალხი ვერა სარგებლობს ამ რუსული გაზეთებით, ენის უცოდინარობით, გარდა ერთი ორ პირისა. კარგი იქნებოდა ერთი რუსული გაზეთი გამოეწერათ და სხვა ქართული, სახალხო ბიბლიოთეკაც თავის მიზანსაც ამით უფრო დააკმაყოფილებდა.

ექიმმა, ივ. გ—ძე ასათიანმა 3 მან. გადმომცა, როგორც აგენტს, რომ ამისთვის ჟ. „განათლება“ გამომეწერა, რაც თავის დროზე შევასრულე. მან, შარშანაც გამოუწერა „განათლება“ და ერთი სხვა რუსული გაზეთიც. კარგი იქნებოდა, სხვებიც წაჰბაძავდნენ ბ. ასათიანს და გამოუწერდნენ ხოლმე, ნივთიერად უღონო ბიბლიოთეკას, მეტადრე საყმაწვილო ჟურნალებს: ნაკადულსა და ჯეჯილსა, რაც დიდი მოწყალება იქნება, იმ დედატკბებულების შვილებისათვის, რომლებიც ასობით გარს არტყიან ამ ბიბლიოთეკას.

აუცილებელ საჭიროებასვე შეადგენს ერთი საეკლესიო, სპეციალური სამეურნეო ორგანოც, როგორც არის გაზეთი „მოსავალი“, რომლის წაკითხვა, ადგილობრივ წვრილმან მეხამუდეებს ხელს შეუწყობს თავიანთ ნაჭერ-მიწების გაუმჯობესებაში, ბაღის მოშენებაში, მეფუტკრეობაზე და სხ., რითაც მათ ადვილად შესაძლებელია ნახევრად გაუმაძღარი კუჭიც გაძღონ და კუჭის გაძღომა განა ხუმრობა არის!

**მესხი ქ. გვარამაძე.**

## ქუთაისის ქართული თეატრი

„შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“-ო, ეს ანდაზა მშვენივრად მიერთვება ქუთაისის საზოგადოებაზე, როდესაც საქმე თეატრს ეხება. ეს, რასაკვირველია, ყველაზე უპედ სცოდნის ქ-ნ ერისთავისას, აქაურ თეატრის „კასსირშას“, როდესაც არჩევდა პიესას და მსახიობებს თავისი ბენეფისის გასამართავად. არც გასაკვირია, რომ ქართული თეატრის „კასსირშამ“ რუსული დასი მოიწვია თავის საბენეფისოდ, მშვენივრად იცის მან ალბად, როგორ გულცივად ეპყრობა ჩვენი საზოგადოება ქართულ სცენას და ხელოვნებას. თუ საქმეებს არა-ქართული სახელი ეწოდება, უცხო ეტიკეტი აკრავს, თუნდაც ის ბევრით მდარე იყოს ქართულზე. ჩვენში პიანიც კარგი გასავალი აქვს და ჩვენი საზოგადოება მუდამ უცხოს, მაგრამ ცუდს ეწაფება, ვიდრე ჩვენსასა და კვარიანს. ან რითი სჯობდა, მაგალითად, „სატანა“ რუსულ ენაზე, 2 თებერვალს დადგმული ნიკულინის მიერ „სატანას“ მესხიშვილის მონაწილეობით. მართალია ბ-ნ იმედაშვილს არა აქვს საჭირო სკოლა, არა აქვს აგრეთვე შესაფერი ქცევა, მაგრამ ვინც შეადარა იმისი და ბ-ნ ტურომჯევის თამაში, იგი დარწმუნებული, რომ ათასნაირად კაშალაშინებულ, გაწვრთნილ მსახიობს მურომცევს, ბევრით არ ჩამოუვარდა ჩვენი უსწავლელი, უსკოლო მსახიობი იმედაშვილი, და ზოგიერთ ადგილებში კიდეც აჯობა მას. ბ-ნ მესხიშვილისა და როსლავლევის გერშელს როლის შედარება კი მეტადაც მიგვაჩნია, რადგანაც ბ-ნი როსლავლევი მესხიშვილთან შედარებით ამ როლში, სტატისტად ძლივს გამოჩნდება. მიუხედავად ამისა 2 თებერვალს დარბაზი სავსე იყო და მუდამ სავსეა, როდესაც ნიკულინის დასი გვესტუმრება ხოლმე. ქართული წარმოდგენების დროს კი, მიუხედავად მშვენიერი ანსამბლისა და მოხდენილი თამაშისა, მუდამ ნახევრად ცარიელია. არ გეგონოთ რომ იქ რუსები დადიოდნენ წარმოდგენებზე და აქ—ქართველები. 2 თებერვალს უმეტესი ნაწილი მაყურებლებისა ქართველებისაგან შესდგებოდა, იმ ქართველებისაგან, რომელნიც ქართული წარმოდგენების დროს ცირკსა და „ილიუზიონებში“ ატარებენ დროს. ვიცით რომ არ გეგონოს აგრეთვე, რომ ჩვენ საზოგადოებას გუსაყვედურებდეთ. ბევრი რამ დაწერილა ამის თაობაზე, მაგრამ... „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო“, როგორც კედელს ცერცვი არ შერჩენია ისე, ჩვენ საზოგადოებას არ შეუსმენია არც სამშობლო სცენისა და არც მისი ადუღაგებისათვის ხელის გაწყობის საჭიროება, და ან რა უნდა მოვსთხოვოთ იმათ, ვინც ასეთი საუბრის მოწმე ხართ.

— „მშვენიერი იყო მესხიშვილი გერშელს როლში“ —უთხრა ერთი დარბაისელი ქართველი, მეორე, პირველზე არა ნაკლებ დარბაისელს და მგრძნობიარე „საზოგადო მოღვაწეს.

„Когда? на грузинскомъ?.. охота тебѣ терять время для грузинскихъ спектаклей!“..

ჩემდა უნებურად გავიგონე ეს სიტყვები. იმედია სხვებიც, ახლო-მახლო მყოფი რუსებიც გაიგონებდენ მათ და წარმოიდგინეთ რა ხალისით მოვლენ ქართულ წარმოდგენებზე.

ეს, ვერაფერი უშველის ჩვენ სცენას, ვერც მსახიობების სამაგალითო მუყაითობა და საქმით გატაცება, ვერც წარმოდგენების მშვენივრად მოწყობა და რეპერტუარების შემუშავება, სანამ თითონ საზოგადოება არ განახლდება და საზოგადოების შემადგენელი ელემენტებში კულტურულად არ გადამუშავდება.

**სო—დი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ კნ. სოფიო ნიკოლოზის ასულ მიქელაძისას, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ოდესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს 300 მანეთი. მართალია განსვენებულ სვიმონ (სისო) მიქელაძის ხსოვნა, როგორც პატიოსან და უმწიკვლო ადამიანის, აქაურ ქართველ სტუდენტებში თაობიდან თაობაზე გადადიოდა, მაგრამ დღეიდან კნ. სოფიო ნიკოლოზის ასულმა გულ-უხვი შემოწირულებით კიდევ უფრო გააფართოვა თავისი დაუვიწყარი შვილის (სისოს) სახელი და ხსოვნა აქაურ ქართველ სტუდენტობაში.

კნეინას მიერ შემოწირული 300 მან. განაწილდა ამნაირად: ნაწილი გადაიდო სისო მიქელაძის სახელზე სტიპენდიების დასაარსებლად ამა წლის მაისის დამლევამდე და ნაწილიც დარიგდება, როგორც ერთდროული დახმარება.

ოდესის ქართ. სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის მდივანი **მიხეილ იმნაძე.**

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენმა წიგნის მაღაზიამ ბ-ნ დუტუ მეგრელის თხოვნის თანახმად ხელის მოწერა გამართა მის თხზულებაზე და ხელის მომწერთაგან მიღებული ფული მაღაზიამ თავის დროზე სრულად გაგზავნა დანიშნულებისამებრ. პირველი ტომი (ლექსები) მაღაზიამ თავის დროზე კიდეც მიიღო და ხელის მომწერთ დაურიგა; ხოლო მეორე ტომის მიღებას აქამდის ვერ ვეღირსეთ, თუმცა ეს ტომი კარგა ხანია დაიბეჭდა და ... დება. არა ერთხელ მივმართეთ ბ-ნ დუტუ მეგრელს და მის მერ დასახელებულ პირთა და დაწესებულებათ, მაგრამ არ იქნა, არაფერი გვეშველა, მეორე ტომი მაღაზიამ ვერ მიიღო და ხელის მომწერნი ვერ დააკმაყოფილა; ეს უკანასკნელნი კი, რა თქმა უნდა, მაღაზიას სრულიად სამართლიანად უსაყვედურებენ; ვინ იცის, იქნებ ფიქრობენ, ალბად მაღაზიამ ფული თავის დროზე არ გაგზავნა, თორემ წიგნის მიღებას წინ რა უდგაო! საყვედურის ასაცდენად უმორჩილესად ვსთხოვ ბ-ნ დუტუ მეგრელს თქვენი გაზეთის საშუალებით, მოახდინოს განკარგულება, რომ წიგნის გამოგზავნა ახლა მაინც დააჩქაროს და წიგნის მაღაზია უხერხულ მდგომარეობიდან დაიხსნას.

**თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ.

თოთხმეტ იანვარს წმ. ნინოობას ჩემდამი რწმუნებულ ცხინვალის პირველ-დაწყებით სკოლის მოწაფეებს გავუმართე „შობის ხე“ და ამაში დიდი დახმარება აღმომიჩინეს საქმით, თუ ნივთიერად შემდეგმა პირებმა, რისათვისაც დიდ მადლობას ვუცხადებ: ნინო ქაიხოსროს ასულს ზანდუკელისას, გიორგი დავითიშვილს, ივლიტე კოკელიძეს, ელისაბედ ელიოზიშვილისას, ნინო კალატოზიშვილისას, ნინო ივასჩენკოს მეუღლეს, ანატოლი ივასჩენკოს, თ. ვასილ ბეგთაბეგიშვილს, თ. ვასილ მიხეილის ძე მაჩაბელს, სოფიო ერისთავის ასულს, იაგორ ლიპაცკის, თამარა ლიპაცკის მეუღლეს, ელენე მაჩაბლისას, სოსიკო კოგინოვს და სულიკო მაჩაბელს.

გამგე ცხინვალის პირველ-დაწყებითი სკოლისა **მარიამ ფალავანდიშვილის-ასული დავითიშვილისა.**


ვ. უიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.



# ე. ა. ცატუროვის

## დეპო ლამპებისა, შპალიერისა და ავეჯისა,

ტფილისი, სახახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

ფირმა 1869 წლიდან არსებობს.

## უმაღლესი ეკონომიური ლამპა



„სირიუს-კოლლოიდი“

70% ეკონომია 70% ეკონომია

პატენტი № 194,348.

„ტფილისის საკრებულოს“ მამასახლისთა საბჭომ დიდის ეკონომიისა, წესიერისა და ვარდის-ფერ შუქის გულისათვის, საკრებულოს გასანათებლად მოიწვია სპეც. ინჟ.-ელექტ. ტფილ. საფოსტ.-სატ. ოლქისა ბ-ნი კრასოვსკი და მამასახლის ა. ა. ენფიანჯიანცთან ერთად მიანდო ყველა ტფილისში არსებულ ელექტ. ლამპების გამოცდა. გამოცდა მთელს თვეს გაგრძელდა და აღმოჩნდა, რომ

**„სირიუსის“**

ლამპის სისტემა ყველაზე ეკონომიურია და ერთ თვეში 200 მანეთი ეკონომია გააკეთებინა.

◀ ელექტრონის ენერგიის ხარჯი სანთლ. უატს უდრის ▶

**ლამპები „სირიუს-კოლლოიდი“** ყოველ მდგომარეობაში ენთება.

**„სირიუს“** ლამპის განსაკუთრებული უპირატესობაა

✦✦ ელექტრო ძალის უაღრესი დამზოგველობა
✦✦ ხანგრძლივად ანთია
✦✦ მზისდარი თეთრი შუქი აქვს, თვალს ნაკლებ სტკენს.
✦✦ სინათლის ძალას უმნიშვნელოდ იკლებს.
✦✦ ლამპის ხარჯს უაღრესად ამცირებს.

ლამპაზე აწერია „სირიუსი“ და „ე. ა. ცატუროვი“, ურომლისოდაც სხვები **ნამდვილი არ არის.** ფირმა კისრულობს ელექტრიონის მავთულის გაბმას. ყოველგვარ ელექტ. არმატურათა აუარებელი არჩევა. დეპოში მუდამ იშოვება ყველა ჯურის ლამპები. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ დაკვეთა პირნათლად და სწრაფად სრულდება. „სირიუსის“ პრეისკურანტი პირველს მოთხოვნილებისთანავე უფასოდ ეგზავნებათ. კავკასიაში „სირიუსის“ ლამპის ერთად ერთი წარმომადგენელი **ე. ა. ცატუროვი.**

(3—1035—2)

# გამოსადეგი ცნობა

## ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

ნამესტნიკი ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან. სასახლეში ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სასახ. სახლ.

ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. მერე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

ეგზარხოსი—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (მგ- (ხარხოსის მოედანი).

ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი—ორშაბათობით ნაშუადღევის 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

ტფილისის გუბერნატორი — ყოველ დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიმში).

კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწად მოწყობის მთავარი რწმუნებული—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ სათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩა N 9).

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ტფილისის საათზეა ნავარაუდევი)

### ტფილისიდან გადიან:

ბათუმისკენ: საჩქარო მატ. N 5, დილ. 8 ს. 10 წ., გორში ჩადის 11 ს., მიხაილოვში 12 ს. 33 წ. დღისით.; რიონში—4 ს. 48 წ. დღ.; ბათუმში—ჩავა საღ. 9 ს. 20 წ. საფოსტო N 3,—ნაშუადღ. 2 ს. 9 წ., გორში ჩადის 4 ს. 57 წ. ნასადილ.; მიხაილოვში—6 ს. 18 წ. საღ.; რიონში—10 ს. 59 წ. საღ.; ბათუმში ჩად.—4 ს. 28 წ. მეორე დილ. საჩქარო მატ. N 7, საღამ. 11 ს. 53 წ., გორში ჩადის ღამ. 2 ს. 29 წ. მიხაილოვში—ღამ. 3 ს. 53 წ., რიონში მეორე დღეს დილით—8 ს. 33 წ., ბათუმში ჩადის დღისით 1 ს. 26 წ.

შერეული მატარ. N 107, მე-4 კლასით—ღამის 1 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 8 ს. 51 წ., მიხაილოვში—მეორე დღეს დილით 6 ს. 51 წ., ბათუმში ჩადის—საღ. 8 ს. 33 წ.

ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 9 ს. 28 წ., ბაქოში ჩადის საღამოს 11 ს. 26 წ. სახალხო მატ. N 6, ნასადილევ. 3 ს. 35 წ. გადის. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დილ. 9 ს. 7 წ. საფოსტო მატ. N 4, გადის საღ. 10 ს. 25 წ., ბაქოში ჩადის მეორე დღეს ნაშუადღ. 5 ს. 21 წ.

შერეული, N 106, მე-4 კლასით, გადის დილ. 4 ს. 18 წ., ბაქოში ჩად. საღ. 5 ს. 21 წუთზე.

ბორჯომისკენ: საჩქარო N 9—66, ნაშუადღ. 3 ს. 28 წ., ბორჯომში ჩადის საღამ. 9 ს. 8 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო მატ. N 74—75, შუაღამ. 12 ს. 41 წ. გადის. ჯულფაში ჩადის მეორე დღეს. ღამის 1 ს. 5 წ.; ნარევი მატ. მე-4 კლასით დილ. 5 ს. 48 წ.

ერევნისკენ: საჩქ. მატ. N 78—79, გადის ნაშუადღ. 4 ს. 33 წ.

### ტფილისში მოდიან:

ბაქოდან: N 6, სწრაფი საღ. 10 ს. 55 წ. საჩქ. N 5, დილ. 7 ს. 25 წ. N 3, საფოსტო ნაშუადღ. 1 ს. 9 წ., N 107, ნარევი მე-4 კლასით—შუადღ. 12 ს. 1 წ.

ბათუმიდან: საჩქარო N 6, ნაშუადღ. 2 ს. 46 წ., საფოსტო N 4, საღ. 9 ს. 25 წ. საჩქარო N 8, დილ. 8 ს. 45 წ. ნარევი N 106, მე-4 კლასით, ღამ. 3 ს. 16 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილით 6 ს. 36 წ.

ერევნიდან: საჩქ-საქონ. N 80—81, საღ. 7 ს. 1 წ. ნარევი N 110—111 მე-4 კლასით საღ. 10 საათზე.

ბორჯომიდან: საჩქარო N 61—10, დილით 7 ს. 35 წ.

შენიშვნა; ნარევი მატარებლის მე-4 კლასის ვაგონებს NN 106, 107, 108, 109, 110 და 111 საჭიროებისა-დაგვარად მიაბამენ ხოლმე მატარებელს.

# განცხადებანი

სპეციალური

## სამკურნალო

კანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.

ველიკოკნიაჟის ქ. N 9, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედევანი და ი. მ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა მიღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიძათა მოსამსახურეთა და მუშათა შემოწმება.

შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 06 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—26)

## „ნაკადული“

(წლიწადი მეშვიდე)

1911 წელს გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა. წლის განმავლობაში ხელის-მომწერი მიიღებს **24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ: 1. ლევ. ტოლსტოის ბავშვობა და სიყრმე, რომელიც ითარგმნება განსაკუთრებით «ნაკადულისათვის», ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიით და სურათით. 2. რჩეულ მოთხრობათა კრებული.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა ხუთი მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—7 მანეთი. ცალ-ცალკე გამოცემა მცირეწლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში. თავ.-აზნაურთ ქარვასლაში).

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.
გამომცემელი თ. ა. ი. თუმანიშვილ.

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან

გაიხსნა

მუხრანსკის ახალი ხიდთან

## სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახმახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალმეკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „**606**“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—26)

## ქალის ტანისამოსი 3 მან. 15 კაპ.

ვუგზავნი ფოსტით ფასდადებით, ჩინებულად შეკერილს, ზედა იუბკას მატყლისას, ახალ მოდისა. ტრიკოსას ყოველგვარის ფერისას. ფოლაქებითა და ყაითნით შემკულს, ხალათებს საზღვარ-გარეთელი ნაშუშევარი, სახელოები და საყელო ფერადებით შემკული—ფასი 3 უბკა 3 მან. 15 კაპ. საუკეთესო ხარისხისა—3 მ. 75 კ. გასაგზავნს 45 კ. ვიღებთ. 3 იუბკასა და 3 ხალათის დაბარების დროს გასაგზავნს ფირმა კისრულობს. დაწუნებულს ფირმა უკანვე დებულობს და ფულს უბრუნებს.

ადრესი: Суконно-шерстянной мануфактуръ Лодзь N 18-я Метцль 267з 8—31—7

## გრაფოლოგი-ხიროსოფი

გამოიცნობს აწმყოს, წარსულსა და მომავალს. ყოველ სულიერ განცდასა და ჩვეულებას. ყველა კითხვაზე პასუხს იძლევა. პირისპირ ნახვითა და ჩვენებით. მიხეილის პრ. N 97, სახლი 8. იღებს დილის 9 ს. საღამოს 8 საათამდე.

(10—1025—6)

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ- და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გევეხკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წამლობა კონსულტატიურად

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ კვირეულ ჟურნალზე (გამოდის 12 დეკემბრიდან).

## ცხოვრება და ხელოვნება

ფასი წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად, არა ნაკლებ ათი შაურისა. რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანამშრომლის მიღებისთვის. განყოფილებათა რედაქტორები.

პუბლიცისტიკა ფ. გოგიჩაიშვილი, სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. არაგვისპირელი. (ბელეტრისტიკა' სიტყვა-წყობილი მწერლობა გ. შ—ლი. (პოეზია) პედაგოგიკა. ალ. მდივანი.0 მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე ისტორია იუს. აბულაძე. მედიცინა გ. ღამბაშიძე. მუსიკა ზ. ფალიაშვილი. დრამა ვ. შალიკაშვილი. სასცენო ხელოვნება ვ. მესხიშვილი. კრიტიკა და ბიბლიოგრ. ი გართაგავა. ბუნების მეტყველება ს. იაშვილი. მიმოხილვა ვ. გუნია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

პირველ ნომრიდან დაიწყო ბეჭდვა „როსტომიანისა“ (ფირდუსის შაჰნამეხი) და შ. დადიანის დრამა „ბედვიშეში“.

რედაქცია. ტფილისი. სათავად-აზნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზედ, ტელეფონი N 862. ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე თეატრის კასაში; წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებაში; გოლოვინის პროსპექტი ი. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში „НОВАЯ РѢЧЬ“.

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ съ театромъ. Редакцiя „Цховреба да Хеловнеба“. რედაქცია ღიაა—10—3 ს. (5—უ—5)

◀ მშობიარეთათვის ▶

## თავშესაფარი ბებია-ქალის მუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღესა და ღამეს. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—4-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—58)

## სტამბის

და ლიტოგრაფიის ხელოსნები: ამწყობები, დამწყობები, მესტერეოტიპენი, მამინაზე მომუშავენი, ცინკოგრაფიის ხელოსნები და სხ., რომელნიც ადგილს ეძებენ და სტამბის პატრონნი, რომელთაც ეს ხელოსნები სჭირდებათ, აცხადებენ „Всеобщiй Типографскiй Указатель“-ში,

რომელსაც მთელ რუსეთის ყველა სტამბა-ლიტოგრაფიებში კითხულობენ. ადგილის მძებნელისთვის 50 კაპ., თითო განაცხადება; სტამბა-ლიტოგრაფიის პატრონის განცხადება ხელოსნის საშოვნელათ სტრიქონი 30 კაპ. შეიძლება ფოსტ. მარკ., სანიმუშო ნომერი უფასოთ. კანტორა და რედაქცია იმყოფება მოსკოვში, მიასნიცკის ქ., N 20. (3—1)

## საპონი ◀ ვაშენი ▶

ინგლისურ ქარხ. ქლინალ ლიმიტედისა,

თეთრეულს 15 წუთში ჰრეცხავს, ხელით ქუჩუნა და მანქანა არა სჭირდება. თუ სცდით, დარწმუნდებით, რომ ეს რეკლამა არ არის და თეთრეულს 1½ მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

## იგი თეთრეულს სრულებით არ აფუჭებს.

მის ხმარებას განსაკუთრებული ცოდნა არა სჭირდება.

რადგანაც ყალბად დამზადებულს, როგორც გარეგნულად, ისე სახელწოდებითაც „ვაშენს“ ამსგავსებენ, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ოქროს მედალს, რომელიც მთავრობის მიერ დამტკიც. დამღაზეა № 10490—12752, ხოლო ინგლისურ პატენტზე № 295350.

## მოითხოვეთ ყველგან.

მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალინი, მთელის ამიერ-კავკასიის წარმომადგენელნი ზ. ნ. სარქიანცი და ტ. ზ. ბასმინოვი.

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.
Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

(5—322—5)

იბეჭდება და თებერვლის პირველ რიცხვებში დაურიგდება ხელის მომწერლებს თებერვლის ნომერი ჟურნალ

## „განათლებისა“

შემდეგის შინაარსით: 1. როგორ დაარსდა წერა-კითხვის საზოგადოება (სურათებით), იაკობ გოგებაშვილისა. 2. შეგნებით კითხვა დ. ო—ძისა. 3. ფსიხოფიზიოლოგია ადამიანის და ცხოველების გრძნობათა ორგანოები პროფ. როგესსე და ფ. დოვლეინი. 4. ინდოელი ბრძენი ბუდდა (სურათით) კახაბერისა. 5. თავ. მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (სურათით) პროფ. ალ. ხახანაშვილისა. 6. სხვა და სხვა ჩვეულებანი საინგილოში ზ. ედილისა. 7. ავადმყოფი (ლექსი) აკაკისა. 8. თოხიანი (მარკ-გამისა) ლექსი დუტუ-მეგრელისა. 9. ბრმა ძალა (თარგმანი) ვალიკოსი. 10. წუწკი მშიერის მასპინძელი (იგავი „ქილილა და დამანიდან“) თ. მაგმაძისა. 11. შენანებული ცოდვილი (ტოლსტოისა) მ. კაკაბაძისა. 12. ბუნების წიაღში (ლექსი) დ. თურდოსპირელისა. 13. სად ხარ? (ლექსი) ლადო ვეშაპკორისა. 14. სიზმრად (ლექსი) ბაჩანასი. 15. სოციოლოგია (წერილი მეორე) სიმ. ავალიშვილისა. 16. შინაური მიმოხილვა—საკითხი სტიპენდიების შესახებ იბ ვართაგავასი. 17. მცირე შენიშვნა საყურადღებო საგანზე დედისა. 18. კიდევ სახალხო მასწავლებლების პენსიის გამო. 20. არითმეტიკის გაკვეთილები დასაწყისს სკოლებში. 20. უცხოეთი. 21. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია-არითმეტიკის სახელმძღვანელო ე. ხრამელაშვილისა დავ. ქიდაგაძისა და სხვ. ჟურნალი ჩვეულებრივზე მოდიდო გამოვა 16 გვერდით; შარშანდელ ხელის მომწერთ, გასაც არ განუახლებიათ ხელის მოწერა თებერვლის ნომერი არ გაეგზავნებათ. ჟურნალი წლიურად ღირს სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მანეთი.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназiя Л. Г. Боцвадзе.

(2—უ.—2) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## ჯეჯილი

ოცდა მეორე წელიწადი

მიიღება ხელის-მოწერა 1911 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში ღირს 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მ., ცალკე ნომერი 40 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ თელავში—კნ. ნ. ჩოლოყაშვილს; სიღნაღში—კნ. ნ. სვიმ. ანდრონიკაშვილს; ქიათურაში—ნიკო წუწუნავას და ბათუმში—მ. კალანდაძეს. წლიურ ხელის-მომწერლებს დაურიგდებათ ორი წიგნი: 1) „ღვთის წყალობა“, დასურათებული მოთხრობა გ. წერეთლისა. 2) საყმაწვილო ამბები, კრებული სურათებით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифл. въ Редакц. Грузинскаго дѣтск. жур. „Джеджили“.

(5—5) რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.




მოითხოვეთ

## სწორე და მკვიდრი საათები!

ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უბის საათები სამი სახურავით «ს ე ც ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაიქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 40 კ. (ციმბირში 75 კ.).

| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოთ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და სამბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე.

(Моцлъ N 53647). (24—15—31)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

ამ საბრეშუმო სეზონისათვის გვაქვს მეცნიერულად გაუმჯობესებული ჯიშების ლ ი ჟ ი ე ს ფირმის შემდეგი აბრეშუმის თესლები: 1) ყვითელი, შერეული აზიური; 2) მსხვილი პარკი, ჩალის ფერი, ვაარის ჯიში; 3) მოგრძო პარკი, მკრთალი ყვითელი ლოჟიედ წოდებული და 4) საშვალი პარკი, მძიმე, ყვითელი ლოჟიედ წოდებული; თეთრი ჯიშების გვაქვს: 1) ბრუსისა; 2) კორეიისა; 3) ანდრიანოპოლისა და 4) ბაღდადისა.

თესლები მომზადებულია თანახმა პასტერის სისტემისა და შემოწმებულია საფრანგეთის მთავრობის მიერ.

წარსული ცდის შემდეგ მოგახსენებთ, რომ წინაამდეგ მტრების ენებისა, ამ ჯიშების თესლების მესანიშნავ პარკში ყოველგან: ხონში, სამტრედიაში, დიდი ჯიხაიშში, სენაკში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში და სხვაგანაც მეტი ფასი მისცეს მყიდველებმა, რადგანაც მეტად სასარგებლოა მეაბრეშუმეთათვის. შეიძინეთ მხოლოდ გაუმჯობესებული ჯიშების სალი აბრეშუმის თესლები, რომლის პარკსაც ყოველგან დიდი მოთხოვნილება აქვს.

ნაღდად მყიდველთათვის ღირს 2 მან. 60 კ. 6 მისხალი. იქნება სამ მისხლიანი კოლოფებიც. ამ ფასიდან გამყიდველ-აგენტებს ეძლევა შრომის შესაფერი სასყიდელი.

სანდოებს ან საზოგადოებისაგან წარმოდგენილ პირებს მივცემ აგენტებად. მეაბრეშუმეებს თესლთან ერთად მიეცემათ დარიგების ფურცლები. კრებებზედაც მივალ დარიგების მისაცემად, როცა ამაზე თავის სურვილს შემატყობინებს რომელიმე საზოგადოება.

პარტიობით მყიდველ-გამყიდველთ ვთხოვ მომელაპარაკონ და მომმართონ შემდეგის ადრესით: ალექს. კაკაბაძეს—ქუთაისში. (9—1205—4)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ✦ ახალ-ახალი ✦,

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 60 კ. და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—128—99)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა




მივიღეთ და

მოითხოვეთ

## აბრეშუმის ◀ ჭიის თესლი ▶

ბაღდადურ თეთრის ჯიშისა.

ალექს. ვარპეტიანისა და ამს. ფირმისა (წინად ა. ვ. არსენისა და ამს. ფირმად ყოფილი). კავკ. საბრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლით, საგანგებოდ დამზადებული.

ტიგრან ხაჩიანცის დაკვეთით, საგანგებოდ ქუთაისის გუბერნიისათვის. თითო კოლოფში სწორედ 6 მისხალი, (25 გრამი), გარგად შემოწმებული თესლია კისეთ ტომრაკებით ფირმის შტემპელითა და ლაქის ბეჭედ-დასმული „ა. ვართანიანი“, კოლოფშივე არის 1 ცალი დარიგება ჭიის რიგიან მოვლაზე. ქალაქ გარედ მყოფნი მყიდველნი მოიკითხავენ: კანტორა ხიდის ქუჩ., ტაძრის I ქიმში მოთავსებული, ბარხუდაროვის მემკვიდრეთა სახლში N 6, და ღიაა დილის 10 ს.—2 საათამდე.

მთელის რუსეთის იმპერიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი ტიგრან ხერბოს ძე ხაჩიანცი. ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: Тифлисъ, Тигранъ Хачiанцъ

(12—1206—3

„სორაპნის“ ამხანაგობის გამოცემა.

## ქართველი და უცხოელი მწერლები

წიგნი მეექვსე.

მიიღება ხელის მოწერა მეექვსე წიგნზე.

# დრამები და კომედიები

წიგნი დაიბეჭდება ვასო აბაშიძის რედაქციით.

ამ წიგნში მოთავსებული იქნება, როგორც ქართველ აგრეთვე უცხოელთა დრამატურგების ნაწარმოები. წიგნი გამოვა დიდი ზომისა, სამჯერ მეტი ვიდრე ჩვენი ჩვეულებრივი გამოცემებია-იქნება დასურათებული.—მოთავსებული იქნება სასიმღერო კუპლეტებისათვის ნოტები. უმთავრესი ყურადღება იქნება მიქცეული იმაზედ, რომ წიგნში მოთავსდეს ისეთი დრამები და კომედიები, რომლის დადგმა შეიძლებოდეს პროვინციაში

არც ერთი პიესა არ დაიბეჭდება წიგნში ისეთი, რომელიც დაბეჭდილი არის.

წიგნი ეღირება ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.

ხელის მოწერა დაიწყება—10 თებერვალს და გათავდება 1 აპრილს დაბეჭდილი წიგნი აუცილებლათ დაურიგდებათ ხელის მომწერლებს—1 ივნის

●● წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა ●●

ვისაც ესურვება ამ წიგნის გამოწერა ფოსტით, მან უნდა გამოგზავნოს გასაგზავნიანად 1 მ. 50 კაპ.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Типографiя „Сорапань“.

თბილისში ხელის მოწერა შეიძლება 1) ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, 2) „ნოვაია რეჩის“ მაღაზიაში კიკნაძესთან, 3) „ალიონის“ მაღაზიაში, კიროჩნი ქუჩაზე და 4) სოსიკო მერკვილაძის მაღაზიაში—პროვინციაში ყველა აგენტებთან.